# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 5 ივლისი 2003 №124 (1895) | ფასი 50 თეთრი


# რამდენი არწივი შეესევა შუშაკს?



ეროვნული ნაკრები ალბანელებს „ეროვნულზე" დაუხვდება. ვისი თავკაცობით, მომავალ კვირაში გაირკვევა

ვინ უთავკაცებს საქართველოს ეროვნულ გუნდს 6 სექტემბერს ალბანეთთან ევროშესარჩევ მატჩში, ამას მომავალ კვირას დაგეგმილი სფფ-ის აღმასკომი გადაწყვეტს. ერთხელაც გავიხსენოთ, რომ თბილისის „დინამოს" ხორვატ მწვრთნელს, ივო შუშაკს ფედერაციამ რუსეთ-ირლანდიასთან სათამაშოდ სთხოვა „შინდისფერთა" განვრთნა, ეს მატჩები კი უკვე ისტორიის კუთვნილებაა და ამიტომაც გაუხდათ აღმასრულებლებს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ამბავი გასარჩევი.

ცხადია, გადამწყვეტი სიტყვა სფფ-ს პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას ეთქმის, რომელმაც, ვინძლო, კვლავ შესთავაზოს სამსახური შუშაკს. აქვე შევნიშნოთ, რომ „დინამო" ახლა გერმანულ რუიტში შეკრებაზე და თბილისში 12 ივლისს, შაბათს დაბრუნდება ალბანურ „ტირანასთან" სათამაშოდ. აღმასკომი კი, წესით და რიგით, კვირის სამუშაო დღეებში უნდა შეიკრიბოს. ამით იმის თქმა გვსურს, რომ ჟორდანიამ ან გერმანიაში უნდა ჩააკითხოს შუშაკს, ანაც აღმასკომის სხდომა ხორვატის თბილისში ჩამოსვლის მერე დანიშნოს, ან იქნებ სულ ტყუილად ვიჭყლეტთ ტვინს და ფედერალებს ნაკრების მესაჭედ სულ სხვა მწვრთნელი შეუგულებიათ.

ხოლო სად დაუხვდება ეროვნული გუნდი ბრიგელის „არწივებს", უკვე გადაწყვეტილი ამბავია. ფედერაცია-რკინიგზის დავა-კამათმა ის მოიტანა, რომ „ლოკომოტივის" სტადიონი სანაკრებო მატჩების გარეშე დარჩა — ეროვნული გუნდი ალბანელებს „ეროვნულზე" უმასპინძლებს.

# ორი კარიერა ფინალში

## ფილიპუსისი ტკივილს გაურბის, ფედერერი სიხარულს ეძებს



მარკ ფილიპუსისი

უიმბლდონზე გასარკვევი ცოტა დარჩა. გუშინ „ოლ ინგლენდ კლაბში" ვაჟთა ბადის ფინალისტები გამოვლინდნენ — შვეიცარიელი როჯერ ფედერერი და ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი. ამათგან არცერთის სახელი უცხოდ არ ხვდება ყურს, მაგრამ ისიც ფაქტია, უიმბლდონის დაწყებამდე ესენი არ მიიჩნეოდნენ მთავარ ფავორიტებად, ალბათ იმიტომაც, რომ მანამდე არც არასდროს უთამაშიათ დიდი სლემის ფინალში. ფედერერი საერთოდ ასეთ სიმაღლეზე შეცოცებული პირველი შვეიცარიელი ვაჟია.

როჯერმა გუშინდელი ნახევარფინალის სამ სეტში მოუთავა ხელი ამერიკელ ენდი „ბოი" როდიკს და თავის პირველ დიდ ფინალში გასულმა იქნებ სწორედ უიმბლდონის ჩემპიონობით გახსნას სლემტიტულების ანგარიში. მანამდე მას ლონდონში მხოლოდ მეოთხედფინალამდე მიუღწევია. თავისთავად ბევრი ვერაფერი შედეგია, თუმც როჯერს 21 წლისასაც მოუსწრია უიმბლდონური შთაბეჭდილებების დაგროვება — 1998 წელს მან უიმბლდონის იუნიორთა ფინალი 16 წლისამ მოუგო მის კბილა ირაკლი ლაბაძეს, 2001 წელს კი მსოფლიოს ამ არაოფიციალურ ჩემპიონატზე ზედიზედ 31-მოგებიანი ჯაჭვი გაუწყვიტა მის ურიცხვესობა პიტ სამპრასს.

მეორე ნახევარფინალში მარკ ფილიპუსისსაც მხოლოდ სამი სეტი დასჭირდა ფრანგ სებასტიენ გროჟანის ჩასაჩოჩნად. ვეება და ოდენ სკადისებური მოწოდების იმედად მოჩოჩნავე ოზის თამაში დიდი ვერაფერიშვილი სანახავია, მაგრამ მისი წარმატება მაინც გვახარებს, რადგან „სკადის" საჩოგბურთო კარიერა ტრავმა-ოპერაციებმა შთანთქა, თამაშის ხალისი კი ოჯახურმა სატკივარმა — ფილიპუსისის მამა კიბოს ებრძვის. ახლა კი ავსტრალიელმა საკუთარი უბედურებიდან პირდაპირ უიმბლდონის ფინალში ამოყვინთა. ბარემ იმასაც შევნიშნავთ, რომ ფილიპუსისი განუთესავი ფინალისტია.



როჯერ ფედერერი

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯერ ძილი, მერე შუშაკი

## წუხელ კარლოსი გაწითლდა

**ათი დღის დაგვიანებით, გუშინ, გერმანიაში მყოფ თბილისის „დინამოს" ბრაზილიელი კარლოსი შეუერთდა. ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია დათქმულ დროს კარლოსის შეკრებაზე გამოუცხადებლობის ზუსტი მიზეზი. ნახსენები იყო ოჯახური პრობლემები, თუმც კარლოსს თავისი ამბავი წვრილად წუხელ უნდა მოეყოლა კლუბის ხელმძღვანელებისთვის და მწვრთნელისთვის, რომელიც ფეხბურთელს დაჯარიმებით ემუქრება**

კარლოსი რუიტში თანაგუნდელებს სადამოხანს შეხვდა, მგზავრობით დაღლილს ვარჯიშის თავი არ ჰქონია და მწვრთნელს მოსასვენებლად დაეთხოვა. ის მზადებას დღეიდან შეუდგება, ისე კი უთქვამს, აქ წამოსვლამდე ბრაზილიაში მეც დღეში ორჯერ ვვარჯიშობდიო.

გუშინვე „დინამოს" რუიტში ჩააკითხეს კლუბის მმართველმა და აღმასრულებელმა დირექტორებმა, დავით პეტრიაშვილმა და გია ფირცხალავამ, თავის წილ„ახალ ამბებს გუნდს ისინიც ჩაუტანდნენ.

დღეს კი საქართველოს ჩემპიონები მიუნხენიდან 50 კილომეტრში ბუნდესლიგის „მიუნხენს" გაეჯიბრებიან. როგორც ადრევე იყო შეთანხმებული, ეს მატჩი ორივე გუნდმა ძირითადი შემადგენლობებით უნდა ჩაატაროს. „მიუნხენს" ახლახან რამდენიმე ახალი ფეხბურთელი შემატებია და მასპინძელთათვის „დინამოსთან" შეხვედრა იმადაც ყოფილა საინტერესო, რომ „მიუნხენში" ახალწვეულთა დებიუტი შედგება. როგორც „დინამოს" პრეს-სამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ გვითხრა, მატჩზე უკვე 75 ჟურნალისტია აკრედიტირებული.

ამასობაში კი „დინამოსთან" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე სათამაშოდ უნგრეთში ემზადება ალბანური „ტირანა". ჩვენების მეტოქე „ფერენცვაროშის" ბაზაზეა დაბანაკებული და 8 ივლისს სწორედ მასპინძლებს ეთამაშება. ტირანელთა დასაზვერად „დინამო" ბუდაპეშტში გივი ნოდიას მიავლენს.

**ქობა ინასარიძე**



სერგეი შავლომ და ალექსანდრე რეხვიაშვილმა ყველაზე ზუსტად გააგორეს

# რეხვიაშვილმა ბურთი სამალიოტშიც გააგორა

ალექსანდრე რეხვიაშვილი და მისი „ტორპედო-მეტალურგი" რუსული პრემიერლიგის მეორე წრისთვის ემზადებიან. სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე მოყურყუტე მოსკოველები ერთ კვირაში ჩაებმებიან საპრემიერლიგო ჯახში. ვალენტინ ივანოვის გუნდი ხომ ქვედა ლიგაში გავარდნის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია.

ორიოდ დღის წინ „ტორპედო-მეტალურგი" ამხანაგურად გაეჯიბრა თანაქალაქელ „სპარტაკს". ალექსანდრე რეხვიაშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა 1:0 მოუგეს „სახალხო გუნდს", რომლის შემადგენლობაშიც მეორე ტაიმში ვალერი აბრამიძეც გამოჩნდა. „რეხვომ" კი 90 წუთი დაჰყო მოედანზე. ხვალ „ტორპედო-მეტალურგი" „როსტოვს" ეთამაშება.

ვარჯიშთან ერთად მეტალურგები გართობასაც არ ივიწყებენ და გუშინ მთელი გუნდი კლუბ „სამალიოტს" ეწვია. კლუბში პირველად ალექსანდრე რეხვიაშვილი გამოჩნდა, მას დანარჩენებიც მიჰყვნენ. მოგვიანებით კი ფეხბურთელებს კლუბის გენერალური მენეჯერი იური ბელოუსი და სპორტული დირექტორი ალექსანდრ იგნატენკო შეუერთდნენ. მალევე გამოჩნდნენ მწვრთნელებიც.

რუსი ჟურნალისტების თქმით, ბიჭებმა კარგად იჯერეს გული ბოულინგისა და ბილიარდის თამაშით, მერე კი „სამალიოტის" სხვა სტუმრებს ავტოგრაფებიც დაურიგეს. ბოულინგში ყველას მწვრთნელმა სერგეი შავლომ აჯობა 198 ქულით. ფეხბურთელებს შორის გამარჯვებული რეხვიაშვილი გახდა. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა 179 ქულა დააგროვა.

— ძალიან მომეწონა. მშვენიერია, როცა მთელი გუნდით ასეთ ადგილზე მიდიხარ, ბოულინგს თამაშობ, ერთობი. ეს ბიჭებს ერთმანეთთან აახლოვებს. იმედი მაქვს, სწორედ ამ ერთიანობით შევძლებთ მეორე წრეში გულშემატკივრების გახარებას. ჩვენ პრემიერლიგაში უნდა დავრჩეთ — განაცხადა ალექსანდრე რეხვიაშვილმა.

**ქახა ზალამბერიძე**



# სოსიედადმა დემეტრაძე კორეაში იპოვა

გიორგი დემეტრაძის დონეცკის „მეტალურგში" დარჩენა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. უკრაინულ კლუბს ჯერ არც ფეხბურთელთან, არც მის მფლობელ ესპანეთის ვიცე-ჩემპიონ „სოსიედადთან" არ გაუფორმებია ახალი კონტრაქტი, მაგრამ* მხარეები სიტყვიერად უკვე ყველა დეტალზე არიან შეთანხმებულნი და დემეტრაძის სან სებასტიანიდან დონეცკში იანვრამდე განათხოვრებაც უახლოეს დღეებში ოფიციალურ სახეს მიიღებს.

დღესდღეობით ქართველი ფეხბურთელი სწორედ „მეტალურგთან" ერთადაა შეკრებაზე იალტაში და ერთი ამხანაგური მატჩიც ითამაშა. ის გუნდს ორიოდ დღის წინ შეუერთდა, იქამდე კი ესპანეთში იყო „სოსიედადთან" სამომავლო ურთიერთობის გასარკვევად, მერე დონეცკში დაბრუნდა და „მეტალურგს" მოგვიანებით შეუერთდა.

— ჩვენ ვესაუბრეთ დემეტრაძეს, გვსურს ის დარჩეს, მაგრამ ამ საქმეს თან პრობლემებიც ახლავს. ჯერ ვერ გეტყვით, ქართველი ფეხბურთელისა და „სოსიედადის" ურთიერთობა როგორ განვითარდება — ასეთი განცხადება გააკეთა ბასკური კლუბის წარმომადგენელმა რობერტო ოლაბემ. იგივე ოლაბემ „მარკასთან" კლუბში არაევროკავშირელ ფეხბურთელთა რაოდენობაზეც ისაუბრა.

— არაევროკავშირელ ფეხბურთელებზე ლიმიტის გამო დიდი გასაქანი არ გვაქვს. სულ ერთი ადგილი დაგვრჩა თავისუფალი — თქვა მან.

წუხანდელი ამბავი კი ასეთია: „სოსიედადი" ორბაშათს სამწლიან კონტრაქტს გაუფორმებს კორეელ ლი ჩუნ სუნს. ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ ბასკებმა „ულსანს" სამნახევარი მილიონი დოლარი უკვე გადაუხადეს. ეს ტრანსფერი ოლაბეს სიტყვების გაგრძელებად შეგვიძლია ჩავთვალოთ და ვთქვათ, რომ „სოსიედადმა" არაევროკავშირელების ლიმიტი ამოწურა, რაც თავისთავად, კლუბიდან დემეტრაძის კიდევ რამდენიმე თვით განათხოვრებას ნიშნავს.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ გიორგი დემეტრაძე „სოსიედადს" „მეტალურგამდე" ვლადიკავკაზის „ალანიაში" და მოსკოვის „ლოკომოტივში" ჰყავდა განათხოვრებული. დონეცკში ჩვენიანმა უკრაინის წინა ჩემპიონატის მეორე წრე უკვე ითამაშა და გუნდს დიდად დაეხმარა უეფას თასის საგზურის მოპოვებაში.

ჰოდა, გასაკვირიც არ უნდა იყოს, „მეტალურგმა", ფინანსურად ერთობ შეძლებულმა გუნდმა, დემეტრაძესთან ურთიერთობის გაგრძელება რომ ისურვა და აღარ ეთმობა.

**ქობა ინასარიძე**

სიახლე საქართველოში!
35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,
აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში
სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეზო არველაძემ წმენდა დაიწყო

## ახალმა მწვრთნელმა შოთა არველაძე საქმეში ნახა და დაიწუნა



ირაკლი ვაშაკიძე

**ერთ კვირაში** თბილისური „ლოკომოტივი" გერმანულ შეკრებაზე მიემგზავრება. მანამდე კი მწვრთნელი რევაზ არველაძე გუნდის დაკომპლექტებითაა დაკავებული. გერმანიაში 20 ფეხბურთელი უნდა გაემგზავროს, რკინიგზულ კლუბში მოხვედრის მსურველი კი გაცილებით მეტია.

შემადგენლობის გასაცხრილად და ფეხბურთელების უშუალოდ საქმეში სანახავად გუშინ „ლოკომოტივზე" საკონტროლო მატჩი ჩატარდა. რევაზ არველაძემ შეგირდები პირველლიგელ მოძმე „სპარტაკს" გააჯიბრა. რკინიგზელებმა გიორგი ქორიძის დუბლით და კობახიძის გოლით საწყის ოც წუთშივე სამჯერ დალაშქრეს ახალგაზრდული „სპარტაკის" კარი. მეორე ტაიმში სპარტაკელმა ალადაშვილმა ერთი საპასუხო ოსტატურად შესრულებული საჯარიმოდან შეაგდო და „ლოკომოტივმა" 3:1 მოიგო.

არველაძემ სასტარტო თერთმეტეული ასეთი ირჩია: *ლომაია, სალუქვაძე, ვაშაკიძე, ქემოკლიძე, ონიანი, ზამთარაძე, ბურნაძე, სირაძე, ხუბუტია, ქორიძე, კობახიძე.* დაწყებიდან თხუთმეტიოდე წუთში როინ ონიანმა თავი შეუძლოდ იგრძნო და მწვრთნელმა ლევან შავგულიძით შეცვალა.

მეორე ტაიმის პირველივე წუთიდან მოედანზე იყო შოთა არველაძე, რომელმაც გოლის შეგდება ვერ მოახერხა, თუმც ფეხებიც რომ დაზოგა, ფაქტია. ნამატჩევს კი ისე როგორი იქნებოდა, შოთას თავისებური იუმორით არ გავეხალისებინეთ, რეზისთან გასინჯვაზე ვიყავი, მაგრამ ძმობამ არ გაჭრა, თამაშთ დამიწუნა და არც შეკრებაზე მივყავარო.

რკინიგზელთა შემადგენლობაში მეორე ტაიმში მეკარეები სოსო გრიშიკაშვილი და სერგო ჭურაძეც ვიხილეთ, ოფლი მოიდინეს რომან გოგინაშვილმა, გიორგი ძამსაშვილმა, გიორგი ონიანმა, მიხეილ სოსელიამ და ახალგაზრდული გუნდის წევრმა თენგიზ უგრეხელიძემ.

„ლოკომოტივში" უკვე ღიად აცხადებენ, რომ დღე-დღეზე ლევან ხომერიკს ელიან, ხოლო განელი ნანას და პერუელი გალიარდოს გერმანიაში ჩასვლის ამბავი უკვე მოგვარებულიაო.

გუნდი კი ვარჯიშობს, მაგრამ გერმანულ შეკრებაზე წამსვლელთა ვინაობა დადგენილი ჯერაც არ არის. იქნებ მწვრთნელებს ოცკაციანი სია უკვე შედგენილიც ჰქონდეთ, თუმც ბევრი რამ ისევ გაურკვეველია.

სადღეისოდ რკინიგზულ კლუბში გადაჭრით არავინ იცის, გიორგი ლომაია მიდის თუ მეთხუთმეტე ჩემპიონატშიც ლოკომოტიველი იქნება. ამის გათვალისწინებით გაურკვეველია დანარჩენი ორი მეკარის ბედიც. სოსო გრიშიკაშვილს და სერგო ჭურაძეს საბოლოო პასუხი ჯერაც არ მიუღიათ.

მსგავს დღეში არიან ახალწვეულები — ირაკლი ვაშაკიძე, ზაზა ზამთარაძე, რევაზ ქემოკლიძე, ლევან შავგულიძე, გიორგი ქორიძე და დავით დათვაძე, ვისაც გუშინ პირადი მიზეზის გამო არ უთამაშია. მათ მწვრთნელთან იქნებ ყველაფერი გარკვეული კი აქვთ, მაგრამ კლუბის თავკაცებთან საკონტრაქტო პირობები ჯერაც არ განუხილავთ.



რეზო არველაძემ ძმა „ლოკომოტივში" არ მიიღო

თენგიზ უგრეხელიძის ვაკეში გამოჩენაც მოულოდნელი იყო. უკრაინის და ბელარუსის ჩემპიონატებში ნაცადმა მცველმა თბილისში, შვეიცარიის ახალგაზრდულ გუნდთან ბარძაყის კუნთი დაიზიანა და მას მერე მინსკში არც დაბრუნებულა.

— ტრავმა საბოლოოდ მოვიშუშე, თუმც უკან გაბრუნების დიდი ხალისიც არ მაქვს. მართალია, კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ იჯარის წესით 6 თვე, ალბათ „ლოკომოტივში" ვითამაშებ. მინსკელები პრობლემას ნამდვილად არ შემიქმნიან, აქ კი მალე ფორმაშიც ვიქნები და მერე ვნახოთ, მომავლ კლუბსაც მზადყოფნის მიხედვით შევარჩევ.

სანამ გერმანულ შეკრებაზე გაემგზავრებოდეს, „ლოკომოტივი" სავარაუდოდ კიდევ ორ საკონტროლო მატჩს ითამაშებს. ერთი უკვე ხვალისთვის, ისევ ვაკურ სარბიელზე დაიგეგმა.



თენგიზ უგრეხელიძე

**მამუკა ქვანტალიანი**



ლევან ხომერიკი ალბათ „ლოკომოტივისთვის" გაიტანს

# ხომერიკმა მატარებელი გააჩერა

## რა ხდება ვაგონებში?

**შვეიცარიამოვლილი** ლევან ხომერიკი საქართველოს ჩემპიონატს უბრუნდება. „აარაუსა" და „ვოლენის" ყოფილი თავდამსხმელი კარიერას ალბათ მისთვის მესამე ქართულ კლუბში, თბილისის „ლოკომოტივში" გააგრძელებს. შეგახსენებთ, მანამდე ხომერიკს „ბათუმში" და თბილისის „დინამოში" უთამაშია.

ხომერიკის შვეიცარიულ ამბებზე „სარბიელი" ხშირად გაწვდიდათ ცნობებს. ერთხანს „აარაუს" ძირითადი თავდამსხმელი ახალმა მწვრთნელმა აითვალწუნა და ლევანიც მყისვე სარეზერვო გუნდის წევრი გახდა. მერე მას კლუბთან ფინანსური დავაც მოუვიდა და რამდენიმეთვიან უქმობას გამოჰკრა ხელი. საბოლოოდ ჩვენებურს დაბალლიგელი „ვოლენი" მოევლინა მშველელად. ხომერიკი ამ კლუბში გადავიდა იჯარის წესით. გაზაფხულზე 7 მატჩი ითამაშა, 3 გოლი გაიტანა და მაისის ბოლოს „ვოლენს" დაშორდა. ამასობაში კონტრაქტის ვადა „აარაუსთანაც" ამოიწურა და ქართველი ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი გახდა. თუმც მისი შვეიცარიაში დარჩენა მაინც ვერ მოხერხდა.

ახლა კი ხომერიკის კარიერაში ახალი ეტაპი იწყება. გაახლებული თბილისის „ლოკომოტივი" მის გადაბირებას ეშურება და რა გამოვა ამ საქმიდან, რამდენიმე დღეში შევიტყობთ.

გუშინ მშობლიურ ბათუმში მყოფ *ლევან ხომერიკს* შევეხმიანეთ და სამომავლო გეგმებზე დავეკითხეთ:

— ორშაბათს მოვდივარ თბილისში. „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობასაც შევხვდები და ამის შემდეგ გადავწყვეტ, როგორ ვიმოქმედებ.

— რკინიგზელთა შემოთავაზება რეალურია?

— კი, „ლოკომოტივისგან" წინადადება უკვე მივიღე. ამ კლუბს ჩემი დამატება სურს და ვნახოთ, როგორ მოვილაპარაკებთ. როგორც იქნა, ყველასგან და ყველაფრისგან თავისუფალი ვარ, ამიტომ, ცხადია, პირობებზე შეთანხმება მოგვიწევს.

— მაინც როგორ ფიქრობ, რამდენი ხნით აპირებ საქართველოში დარჩენას, რა ვადით დაუკავშირებ „ლოკომოტივს" ბედს?

— სწორედ ეგ არ ვიცი ჯერჯერობით. როცა ვნახავ, რას მთავაზობენ რკინიგზელები, ამის შემდეგ დავფიქრდები საკონტრაქტო ვადაზე. ორსამ დღეში ყველაფერი მეცოდინება.

**ქახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტორპედოს ალბენაში ოთხი ამხანაგური შეუკვეთა



სოსო ფრუიძე

**ხვალ** ქუთაისის „ტორპედო" ბულგარულ კურორტ ალბენას მიაშურებს საწვრთნელი შეკრების გასავლელად. ბულგარეთში რიონისპირელები ორ კვირას დაჰყოფენ და ოთხ ამხანაგურ მატჩსაც ითამაშებენ. ქუთათურებს მეტოქეობას ორი მასპინძელი და ორიც რუმინული კლუბი გაუწევს, რომელთა ვინაობაც ჯერჯერობით უცნობია.

„ტორპედოს" თავკაც სოსო ფრუიძეს ალბენაში 22 ფეხბურთელი მიჰყავს. მათ შორის სამი ახალწვეულია — წინა სეზონში გორის „დილას" მეკარე გიორგი სომხიშვილი, თავდამსხმელი დავით მუშკუდიანი და ყოფილი ტორპედოელი, ბოლოს ფოთის „კოლხეთში" მოთამაშე რევაზ კვერნაძე რომელიც ახლო წარსულში „ტორპედოს" ცნობილი ნახევარმცველის, ალექსანდრე კვერნაძის ვაჟია. სოსო ფრუიძემ გუნდში ფარმ-კლუბიდან მოწონებულ რამდენიმე ახალგაზრდასაც უხმო და ამით ეცდება მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის ბოლოს გუნდიდან წასული ზურაბ იონანიძისა და გია ჭანტურიას შეცვლას.

აი, „ტორპედოს" საბულგარეთო შემადგენლობა:

*მეკარეები:* *სტურუა, გ. სომხიშვილი, რევიშვილი;*

*მცველები:* *ხვადაგიანი, ლ. ჭელიძე, მახვილაძე, გამეზარდაშვილი, თოდუა, ნერგაძე, გოგოლაძე;*

*ნახევარმცველები:* *ბაბუნაშვილი, კვეტენაძე, გიორგი ჩხეტიანი, ლალაძე, ახალკაცი, ფესტვენიძე, პოროშინი;*

*თავდამსხმელები:* *ზ. ქუთათელაძე, კვერნაძე, მუშკუდიანი, გაგა ჩხეტიანი, დარსაძე.*

**კახა შალამბერიძე**

# სარფიანი საქმე

## ბათუმს სარფზე მიდი-მოდი უჯობს

**საახალსეზონო** სამზადისშია „ბათუმი". ზღვისპირელები გუშინ 40-გრადუსიან ხვატს არ შეუშინდნენ და ქუთაისში ჩავიდნენ სათამაშოდ. ოთხდღიან ინტერვალში „ბათუმმა" მეორედ ჩააკითხა „ტორპედოს" ამხანაგურად სათამაშოდ. 30 ივნისს ამ გუნდების პირველი საკონტროლო მატჩი ქუთაისელთა გამარჯვებით დამთავრდა (3:0), გუშინ კი ფრე იყო.

ასლან ბალაძემ ასეთი შემადგენლობით ათამაშა გუნდი: *ქვაჩახია, მახარაძე, მეგრელიშვილი, დუმბაძე, ქაცარავა, ილამიძე (ბ. შელია), ი. შენგელია, მანჩხავა, სეფერთელაძე (ვაგუა), ფირცხალაიშვილი, რომანაძე (ფხაკაძე).*

მატჩი 12 საათზე დაიწყო და პაპანაქება სიცხეში გვარიანად მოიქანცნენ ფეხბურთელები. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს მეორე ტაიმის დასაწყისში — „ბათუმი" ფირცხალაიშვილმა დააწინაურა, თუმც შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ქუთათელაძემ გაქვითა.

დღეს ასლან ბალაძეს დაფიქრება მოუწევს, რადგან ხვალ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და გუნდი გაცხრილოს. „ბათუმში" ოცდაათამდე ფეხბურთელი ემზადებოდა და ზოგიერთს ხვალ ზღვისპირელებთან გამოთხოვება მოუწევს.

10 ივლისამდე ასლან ბალაძე ინტენსიურ ფიზიკურ წვრთნაზე გადაიყვანს გუნდს. მერე კი უცხოეთში გამგზავრების დრო დადგება. „ბათუმმა" თურქეთში არჩია მომზადება, მაგრამ ჯერაც გაურკვეველია, რა ფორმით აირჩევს სამზადისს. გუნდის მესვეურებმა თავდაპირველად თურქეთში 12-დღიანი შეკრება გადაწყვიტეს, თუმც არ არის გამორიცხული, ასლან ბალაძის გუნდი ორორი დღით გადავიდეს ტრაბზონსა და რიზეში, საკონტროლო მატჩები ჩაატაროს და შემდეგ ისევ შინ დაბრუნდეს. ეს გზა უფრო იაფია და დიდი შანსია, „ბათუმს" ორ დღეში ერთხელ თურქეთ-საქართველოს საზღვრის გადაკვეთა მოუხდეს.

ასლან ბალაძის გუნდი გასაჯიბრებლად ბათუმშიც მიიწვევს თურქულ კლუბებს.

**პაატა ქვანტალიანი**



ასლან ბალაძე



იგო შუშაკი



ალექსანდრე კრიჭაშვილი

# შუშაკი: თქვენ გგონიათ კი?

## აღმასკომი კრიჭაშვილს კრიჭაში არ უდგება

**სავარაუდოდ,** მომავალ კვირაში ფეხბურთის ფედერაციის აღმასოკმი შეიკრიბება, რომელიც რამდენიმე პროექტს ბეჭედს დაასვამს და კანონის ძალას მისცემს.

მართალია, საალმასკომო დღე ფედერაციის თავკაცებს ჯერ არ დაუზუსტებიათ, მაგრამ რეგლამენტი პროექტის სახით უკვე არსებობს. ეს არის: ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა, ეროვნული ნაკრების მწვრთნელის დამტკიცება, საქართველო — რუსეთის ჩაშლილი თამაშის მიზეზების შესახებ ანგარიში და ქართული ფეხბურთის დღედ 13 მაისის გამოცხადება.

განიხილავენ აგრეთვე კლუბების ლიცენზირების და მსაჯ ალექსანდრე კრიჭაშვილის რეაბილიტაციის საქმეს.

მოდით, რაც ჩამოვთვალეთ, იმის გარჩევა ბოლოდან დავიწყოთ. მსაჯი კრიჭაშვილის და რუსთავის „გორდას" ცნობილ ინციდენტზე აქამდეც ბევრი ითქვა. რა ხანია, კრიჭაშვილი სამართლიანად უქმობს, შეცდომაც აღიარა და რომ დააბრუნონ, არ გაგვიკვირდება.

კლუბების ლიცენზირებაზე ჯერაც ბევრს ილაპარაკებენ და ითათბირებენ, თუმც ეს გარდაუვალი და შეუჩერებელი პროცესია. სხვა თუ არაფერი, უეფას მოთხოვნაა და გვერდს ვერ ავუვლით.

ქართული ფეხბურთის დღედ 13 მაისის გამოცხადების წინააღმდეგი არა გვგონია, ვინმე იყოს და ალმასკომიც მწვანე შუქს აუნთებს ამ იდეას.

საქართველო — რუსეთის ჩაშლილ თამაშზე შარშანდელს აქეთ ბჭობენ. გამოძიებაც დღემდე გრძელდება, მაგრამ შუქის ჩაქრობის ნამდვილი მიზეზი და ამაში მთავარი დამნაშავე დღემდე დაუდგენელია. ამიტომ ვეჭვობთ, ამ საქმეში ალმასკომმა რაიმე სიახლე შემოგვთავაზოს.

რაც შეეხება ეროვნული ნაკრების თავკაცის და ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილეების არჩევას, ფედერაციაში ეს საკითხები მეტად გასაიდუმლოებულია. იქიდან ინფორმაციას ჯერაც არ გამოუჟონავს და ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელებიც ჩუმად არიან.

მართალია, კულუარებში ამბობენ, შესარჩევი ეტაპის ბოლომდე ნაკრებს შუშაკი უთავკაცებსო, მაგრამ საპირისპირო აზრსაც ხშირად მოისმენთ. თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, მაშინ არ არის გამორიცხული, ნაკრები შესარჩევის ბოლომდე ქართველმა გაწვრთნას და ეროვნულ გუნდს ახალი მწვრთნელი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრის შემდეგ დაუნიშნონ.

ჯერ ისიც გაურკვეველია, მეთხუთმეტე ეროვნულ ჩემპიონატს ვინ ჩაატარებს. ზოგი ფედერაციას ამბობს, ზოგიც პროფესიულ ლიგას. მოკლედ, საინტერესო ალმასკომი გველის.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ეროვნული ეროვნულზე, ახალგაზრდული ბოლნისში, ლოკომოტივი თამაშგარეთ

„არ ველოდი, თუ ბოლნისში ასეთი სამზადისი დამხვდებოდა. ბევრი უშრომიათ და ნაყოფიერადაც. გასაკეთებელი კიდევ დარჩა, თუმც არც იმდენი, 28 აგვისტოსთვის ვერ მოესწროს. მართალია, პატარ-პატარა შენიშვნები მაქვს, მაგრამ მთლიანობაში კმაყოფილი ვარ და ჩემს დასკვნას უეფაში წარვადგენ. ამის საფუძველზე კი, დიდი შანსია, „სიონს" შინ თამაშის უფლება მისცენ" — ეს სიტყვები 30 ივნისს უეფას ემისარმა, ჰოლანდიელმა კარელ ვერგონტენმა „თემურ სტეფანიას" საფუძვლიანად შემოწმების შემდეგ გვითხრა.

ალბათ, ჰოლანდიელმა სიტყვა აასრულა და ზემდგომ უწყებას დადებითი დასკვნა წარუდგინა. უეფადან პასუხი ჯერაც არ მოსულა, არ იციან ბოლნისელებმა, სად დაუხვდებიან სლოვაკურ „პუხოვს", მაგრამ 28 აგვისტოდან კვირის თავზე „თემურ სტეფანია" ერთ ოფიციალურ მატჩს მაინც უმასპინძლებს.

ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 5 სექტემბრის საქართველო — ალბანეთის ახალგაზრდული გუნდების მატჩი ბოლნისში ჩატარდება. ეს საქმე ბეჭედდასმულიაო, გვითხრა გუშინ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ.

6 სექტემბრის საქართველო — ალბანეთს კი „ეროვნული" უმასპინძლებს. ბოლო დროს ეროვნული ნაკრების საშინაო სარბიელად „ლოკომოტივი" ითვლებოდა, მაგრამ ერთი ხანია, ფედერაცია და რკინიგზის დეპარტამენტი ერთმანეთს ემტერებიან. რკინიგზელებს ფედერაციის ფული მართებთ, რომლის ანაზღაურებაც გაჭიანურდა და ქართული ფეხბურთის თავკაცებმა ნაკრები „ეროვნულზე" დააბრუნეს.

**მამუკა ქვანტალიანი**



სანაკრებო მატჩებს „ლოკომოტივი" აღარ უმასპინძლებს



# დაისლერს ვაჭრებმა სურვილი გაუყიდეს

## სანახევროდ შეკრებილ ბაიერნს კანი გაექცა





მიუნხენის „ბაიერნი“ სეზონისწინა მზადებას შეუდგა. გუნდი ლაიფციგშია დაბანაკებული, თუმცა ბაზაზე ჯერჯერობით ფეხბურთელთა სიმწირეა. პირველ ვარჯიშს მხოლოდ ძირითადი შემადგენლობის რვა ფეხბურთელი დაესწრო. დანარჩენები ჯერაც შვებულებაში არიან და სრული შემადგენლობით „ბაიერნი“ 10 ივლისს შეიკრიბება.

„ჩვენი მიზანი ყველაფრის მოგებაა, ბუნდესლიგისაც, ქვეყნის თასისაც და ჩემპიონთა ლიგისაც“ — ასეთი გეგმა დასახა კლუბის თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში „ბაიერნმა“ ბუნდესლიგა და გერმანიის თასი მოიგო, ჩემპიონთა ლიგიდან კი პირველ ჯგუფურ ეტაპზე გაიჭედა.

ახალ სეზონშიც „ბაიერნს“ შიდა გერმანულ შეჯიბრებებზე კონკურენტი ძნელად თუ გამოუჩნდება, აი, ჩემპიონთა ლიგაში კი... ერთ-ერთ მთავარ კონკურენტზე, მადრიდის „რეალზე“ კლუბის კომერციულმა დირექტორმა ული ჰიონესმა ასეთი რამ თქვა: „ბექემის ყიდვა უდიდესი ფარსი იყო, რითაც ძალიან კმაყოფილები დავრჩით. „რეალი“ ჯერ ვერ ხვდება, რამხელა სისულელე ჩაიდინა. აგერ ნახავთ, ბექემი „რეალს“ თამაშს აურევს და ჩვენც ეს არ გვინდა? სიმართლე გითხრათ, ამ ტრანსფერის ამბავი რომ შევიტყვე, გულიანად ვიცინე“.

ული ჰიონესმა, „ბაიერნზე“ საუბრისას, აღნიშნა, სამივე ტიტულის მოგება კი გვსურს, მაგრამ ჩვენი პრიორიტეტი მაინც ბუნდესლიგა იქნებაო.

ჰიონესს მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდიც დაეთანხმა.

რუმენიგემ კი დასძინა: „ახლა გუნდში 24 ფეხბურთელი გვყავს და მომავალ სეზონს ყველა სრულ მზადყოფნაში შეხვდება“.

ეს ნიშნავს, რომ ალექსანდრ ციკლერმა, რობერტ კოვაჩმა და როკე სანტა კრუზმა მცირე ტრავმები მოიშუშეს, ხოლო ჰასან სალიჰამიჯიჩი მარჯვენა მუხლის ხანგრძლივი მკურნალობის და ოპერაციის შემდეგ საბოლოოდ გამოჯანმრთელდა.

ამ 24 ფეხბურთელის გარდა „ბაიერნი“ კიდევ ორი მოთამაშის დამატებას ლამობს. ესენი „ბოკა ხუნიორსის“ 19 წლის ფორვარდი კარლოს ალბერტო ტევესი და დეპორტივოელი ბომბარდირი როი მაკაი არიან. ული ჰიონესმა არგენტინელის გადაბირების შანსი 30 პროცენტით შეაფასა, ჰოლანდიელისა კი 50 პროცენტად.

როგორც ამბობენ, „ბაიერნი“ „დეპორტივოს“ მაკაის სანაცვლოდ 18 მილიონ ევროს სთავაზობს, გალისიელები კი 21 მილიონს ითხოვენ. „დეპორის“ პრეზიდენტმა აუგუსტო ლენდოირამ ამის თაობაზე განაცხადა: „ისეთი დონის ვარსკვლავი, როგორც მაკაია, ისეთ ფასად უნდა გაიყიდოს, რომელიც მის ჭეშმარიტ ღირებულებას შეესაბამება. ამიტომ 21 მილიონ ნაკლებ თანხაზე მოლაპარაკებას არ ვაპირებთ“.

ჰოლანდიელით, „ბაიერნის“ გარდა „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ვალენსია“ და „ბარსელონაც“ ყოფილან დაინტერესებულები, მაგრამ ინგლისელები მხოლოდ 15 მილიონის გადახდაზე არიან ყაბულს, ესპანურ გუნდებს კი ამის საშუალებაც არ აქვთ. ამიტომ „ბაიერნი“ ყველაზე რეალურ პრეტენდენტად რჩება. ხოლო თავად მაკაის არაერთხელ უთქვამს, „დეპორტივოდან“ წასვლა მსურსო.

მაგრამ 18 მილიონზე მეტის გადახდას არც გერმანელები აპირებენ, ოტმარ ჰიცფელდმა თქვა, ისედაც ძალიან ძლიერი შემადგენლობა გვყავს და მაკაის გამო სალაროს ვერ დავაცარიელებთო.

სხვა ბაიერნული ამბებიდან კი გამოვარჩიოთ სებასტიან დაისლერის პირადი და კლუბის ბიზნესინტერესების გადაკვეთა და ოლივერ კანის თავქარიანობა.

მოგეხსენებათ, ჩირიაკო სფორცას წასვლის შემდეგ „ბაიერნში“ 10-ნომრიანი მაისურა გამოთავისუფლდა, რომლის მორგებაც დაისლერის ოცნება ყოფილა. წინააღმდეგი კლუბიც არ იყო — ანკი რატომ უნდა ყოფილიყო — მაგრამ „ბაიერნის“ სავაჭრო განყოფილების შეფმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — დაისლერის 26-ნომრიანი მაისურები უკვე იმდენი დავამზადეთ და გავყიდეთ, მისთვის ნომრის შეცვლა ფინანსურად წამგებიანი იქნება.

სებასტიან დაისლერს 26 ნომერი დაუტოვეს.

კანის საქმე კი ასეა: მიუნხენის ქუჩებში მანქანას 150 კმ/სთ სიჩქარით დააგელვებდა, გააჩერეს და მართვის მოწმობა ჩამოართვეს.

**გიორგი დარჯანია**

# ვადაზე ადრე

## ნაციხარ ტოფტინგს ყველა ერიდება



დანიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი სტიგ ტოფტინგი, რომელსაც ფეხბურთელობაზე მეტად მოჭიდავეობა მოუხდებოდა, გუშინწინ ციხიდან გამოუშვეს, სადაც სამი თვე გაატარა.

34 წლის ტოფტინგი შარშან ივნისში კოპენჰაგენის რესტორანში ჩხუბისთვის დააკავეს, ოქტომბერში გაასამართლეს და ამა წლის 18 მარტს ციხეში უკრეს თავი.

დავაზუსტოთ: ტოფტინგს ციხეში სამი თვე უნდა გაეტარებინა, მაგრამ 16 დღით ადრე გამოუშვეს.

ტოფტინგმა ბოლო სანაკრებო მატჩი წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩაატარა, სადაც დანია მერვედფინალში გავიდა. ბოლო საკლუბო მატჩი კი იანვარში ჰქონდა, თავისი ყოფილი კლუბის, „ბოლტონის“ შემადგენლობაში, რომელთან კონტრაქტიც ამ სეზონის ბოლოს დაუმთავრდა.

ახლა ტოფტინგი უმუშევარია. თამაში თითქოს მშობლიურ „ორჰუსში“ უნდა გაეგრძელებინა, სადაც დაიწყო კიდეც თავის დროზე მისი კარიერა, მაგრამ კლუბის დირექტორმა ფრანკ ჰასკიაერმა თქვა, სატოფტინგო ფული არ გვაქვს და თან გუნდში ბლომად კარგი ნახევარმცველებიც გვყავსო. ალბათ, ნაციხარი და გიჟი ფეხბურთელი არ ინდომა.

**ირაკლი ნინიძე**

# მაისურების ბიზნესი

## ბექემის 23-მა რეალი მილიონით გაამდიდრა

**მადრიდის** „რეალმა“ დევიდ ბექემში, მოგეხსენებათ, 35 მილიონი ევრო გადაიხადა. აქ კი ის დავითვალოთ, ამ 35 მილიონიდან უკვე რამდენი ამოიღო.

ბექემი მადრიდში 1 ივლისს ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება იმ კლინიკაში გაიარა, რომელმაც კლუბს მეტი ფასი შესთავაზა. თანხაც ცნობილია — 350 ათასი ევრო.

ამი მერე, ოთხშაბათს, მადრიდში არსებულ „რეალის“ ორივე საკლუბო მაღაზიებში ბექემის 23-ნომრიანი მაისურები გამოიტანეს გასაყიდად. სულ 8 ათასი ცალი და თითოეულს ფასი 78 ევრო დაადეს. ბექემის მაისურის შეძენის იმ მსურველებს, რომლებმაც ეს ამბავი ოთხშაბათსვე, ოღონდ საღამოს შეიტყვეს და მაღაზიისკენ თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ, სრული იმედგაცრუება ელოდათ — ერთ დღეში 8 ათასივე მაისურა გაყიდული დახვდათ. მათ შორის, 23-ნომრიანი საგარეო და, წარმოიდგინეთ, სათადარიგო მაისურებიც კი.

8 ათასი გავამრავლოთ 78-ზე და 624 ათას ევროს მივიღებთ. ანუ „რეალმა“ დაახლოებით ერთი მილიონი ევრო უკვე მოიგო.

ცნობისთვის: ერთი წლის წინ, როცა „რეალში“ რონალდო გადავიდა, პირველ დღეს მხოლოდ 2 ათასი 11-ნომრიანი მაისურა გაიყიდა.

**კოტე კეკელია**



# თითების ტრიალი პაპანაქებაში

## აიაქსმა მარსელს აქლემი შესთავაზა





„მარსელის“ ახალწვეულები დიდიე დროგბა და სტეპან ვაპოუშეკი

*თითქმის ყოველ ზაფხულს საფრანგეთიდან, ევროპის გაცილებით ძლიერ (ესპანეთი, იტალია, ინგლისი) ლიგებში წამოჩიტულგამორჩეული ფეხბურთელები მიჰყავთ. წლევანდელი ზაფხული ამ მხრივ ჯერჯერობით გამონაკლისია, რადგან სატრანსფერო ბაზარი შარშანდელთან შედარებით მიმკვდარებულია*

მიზეზი ცნობილია — ვირუსული უფულობა, რომელიც, ალბათ, მხოლოდ „რეალისა“ და „მანჩესტერის“ ჯიბეებს ასცდა. დანარჩენებს საქმე ან უკვე აწყობილი აქვთ ან კიდევ მუქთას ეძებენ.

თავად შიდაფრანგულ ბაზარზეც სიწყნარეა. „მონაკოს“ ამასწინანდელმა ამბავმა სხვა კლუბების ბუღალტრებს სალაროები ცხრაკლიტულით დააკეტინა. სამეფო გუნდი ვალებში სწორედ ფულის უხვად გაცემის გამო ჩავარდა და კინალამ მეორე დივიზიონში ამოყო თავი.

ჩემპიონატი პირველ აგვისტოს იწყება. მანამდე ერთ თვემდე დროა, მაგრამ თვით „ლიონის“, „მარსელისა“ და პსჟ-ს დონის გუნდებიც კი დასიცხული ცხვრებივით მიჩუმებულან. მიუხედავად ამისა, რამდენიმე შემდგარ და სავარაუდო ტრანსფერზე გიამბობთ.

„ლიონით“ დავიწყოთ. გუნდის კაპიტანმა, ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა ჩემპიონებთან ყოფნა აღარ ისურვა და წავიდა. გასული სეზონის ნახევარი მას ტრავმის გამო გაუცდა. გაზაფხულზე მხოლოდ რამდენიმე მატჩი ითამაშა და თავისებს გოლებითაც შეეწია. ანდერსონი მიხვდა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოპოვება გაუჭირდებოდა და წასვლაც ამიტომ გადაწყვიტა.

პოლ ლე გუენს ბრაზილიელის სანაცვლოდ ფორვარდის შეძენა ეწადა, მაგრამ ივენისი ისე გაილია, ლიონელებმა თავდამსხმელი ვერ მოძებნეს. სამაგიეროდ, „ბასტიადან“ განელი ნახევარმცველი მიქაელ ესიენი წაიყვანეს და ოთხწლიანი კონტრაქტიც გაუფორმეს. ესიენის გადაბირება პსჟ-საც ეწადა, თუმცა ჩემპიონებმა კორსიკელებს ოდნავ მეტი შეაძლიეს და კუნძულიც „დანებდა“.

ჯერჯერობით განელი ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის ბინადარი „ლიონის“ ერთადერთი შენაძენია.

ვაჭრობაში სხვებზე მეტად ალან პერენის „მარსელი“ აქტიურობს. ჰიდეტოში ნაკატადან ფერნანდო მორიენტესამდე არაერთ ფეხბურთელს გადასწვდა. მორიენტესმა ფრანგული ლიგა დაიწუნა, ისევე როგორც იაპონელმა. ამჟამად სამხრეთელები ეგვიპტელ მიდოს დასდევენ, რომელიც „აიაქსმა“ „სელტაში“ გაანათხოვრა.

„მარსელის“ აგენტები ამსტერდამელებს დაუკავშირდნენ, მაგრამ თვითონ ფეხბურთელს ვერ მიაგნეს. გაირკვა, რომ იგი კაიროშია და აქლემით დასეირნობს. აჰმედ ჰოსამის სავარაუდო ფასი 12 მილიონი ევროა.

ზღვისპირელებმა ორი ფეხბურთელი მაინც გადაიბირეს. პირველი პრაღის „სლავიის“ ნახევარმცველი სტეპან ვაპოუშეკია. იგი ალან პერენს შარშან მაისში მოსწონებია, როცა ჩეხეთის 21-წლამდელთა ნაკრებმა ფრანგ თანატოლებს ევროპის ჩემპიონატის ფინალში სძლია, ვაპოუშეკი კი კაპიტანი გახლდათ. მის სანაცვლოდ ფრანგებმა დაახლოებით 3 მილიონი ევრო გაიღეს და ოთხწლიან კონტრაქტზე დაითანხმეს.

ბრინჯაოსანთა მეორე ახალწვეული 25 წლის კოტდივუარელი მეგოლე დიდიე დროგბაა. „გენგამის“ ყოფილმა თავდამსხმელმა გასული სეზონის 34 მატჩში 17 გოლი მოაგროვა და ბომბარდირთა დავაში ისეთ ყოჩებს ჩამორჩა, შაბანი ნონდა და პედრო პაულეტა რომ არიან. დროგბა გენგამელებმა მეორე დივიზიონის „ლე მანში“ აღმოაჩინეს. აფრიკელმა ფორვარდმა თავისი მომავალი „მარსელს“ ხუთი წლით დაუკავშირა.

პორტუგალიელმა პედრო პაულეტამ უკვე ოფიციალური იუარა „ბორდოსთან“ კონტრაქტის გახანგრძლივება, რამაც ჟირონდული კლუბის პატრონი საფიქრალში ჩააგდო. სად გააგრძელებს გოლების გატანას პაულეტა უცნობია, მსურველი კი ნამდვილად გამოუჩნდება. „ბორდოდან“ ოდინდელი მადრიდის რეალელი, ბრაზილიელი სავიოც წავიდა. იგი ლისაბონის „ბენფიკაში“ გადაიხვეწა და ხოსე ანტონიო კამაჩოს გუნდს შეეკედლა.

პაულეტას ნაცვლად ბორდოელებმა მისი დარი ფორვარდი ვერა, მაგრამ მისი თანამემამულე ნაკრების მცველი მარკუ კანეირა გადაიყვანეს. კანეირა მილანის „ინტერის“ მოთამაშე იყო, შარშან „ბორდოში“ იჯარით გაუშვეს, ახლა კი ჟირონდელებმა მისი სატრანსფერო უფლებები სრულად გამოისყიდეს.

პსჟ-ს რაც შეეხება — „მანჩესტერ იუნაიტედი“ პარიზელებს მგონი დღეში სამჯერ ჭამის შემდეგ აკითხავს, მაგრამ რონალდინიოს ფასზე ვერ მორიგდნენ. ახლახან ფრანგულ კლუბის სპონსორმა „კანალ პლუსმა“ გუნდს ორ ათეულამდე მილიონი ევრო მიართვა და პსჟ-ლებმაც მანჩესტერელ მყიდველებს ბრაზილიელი გაუძვირეს, ფული ჩვენ არ გვიჭირს და რონალდინიოს გაყიდვას არც ვიჩქარებთო. თან, პარიზელთა ახალ მწვრთნელს, ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს თამაშის აწყობა ბრაზილიელის ნიჭზე სურს.

პსჟ-ში გადასვლას საბერძნეთის ნაკრების მოთამაშეს, დემის ნიკოლაიდისსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ფრანგმა ექიმებმა ბერძენ ფორვარდს ჯანი დაუწუნეს და უკან გააბრუნეს.

ახლა ნიკოლაიდისის ნაცვლად პსვ-ს მეგოლე ვენგოორ ოფ ჰესელინკს ეკურკურებიან. ჰოლანდიელებმა 8 თითი გაშალეს, ამდენი მილიონი ევრო მოგვეცითო, პარიზელებმა კი სანაცვლოდ ერთი ხელის თითები გაპარჭყეს, ამაზე მეტს ვერ მიიღებთო. ჯერ-ჯერობით თიაობით ერთობიან.

**გაგა ხუციშვილი**



# ჯანფრანკო ძოლას ჯანმაგარი სიტყვა

„ჩელსისთან“ კონტრაქტზე შეუთანხმებლობის გამო იტალიაში დაბრუნებულმა ჯანფრანკო ძოლამ სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა და თანამემამულეებს გაესაუბრა. 37 წლის ფეხბურთელი მშობლიურ სარდინიაზე „კალიარიში“ დაბინავდა.

— მე ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება გადავწყვიტე. ვფიქრობ, ასე აჯობებს, რადგან 25-ის არ ვარ და არც ის ვიცი, კიდევ რამდენ ხანს შევძლებ თამაშს. ფულის გამო არ მოვსულვარ და ეს კარგად იცით. „კალიარის“ მადლიერი ვარ ნდობისთვის. მსურს, გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო და ჩემი ცოდნა-გამოცდილება ვუწილადო.

სარდინიაზე თავს იტალიური კულტურის ნაწილად ვგრძნობ და შინაური გარემოც მსიამოვნებს. ვაღიარებ, „ჩელსიდან“ აქ წამოსვლა გამიჭირდა, მაგრამ ჩემს შვილებს ავუხსენი, რაოდენ საჭიროა სამშობლოში დაბრუნება. ფული ყველაფერს არ ნიშნავს.

გუნდი საკმაოდ გაძლიერდა და მჯერა, კლუბის პრეზიდენტი სერია A-ში ალსაზევებლად ძალ-ღონეს არ დაზოგავს. ჩემპიონთა ლიგა სერია B-ზე გავცვალე. ზოგჯერ მსხვერპლიც აუცილებელია. სულ ერთია, მადრიდის „რეალს“ ვეთამაშებით თუ სერია B-ს რომელიმე გუნდს. ამ შემთხვევაში მთავარი განწყობაა, რომელიც ნამდვილად არ მაკლია.

**გაგა ხუციშვილი**




# სეზონის ბოლო

თითქოს ფეხბურთი დამთავრდა, ანუ ამოისუნთქა ახალი, მძიმე სეზონის წინ, რომელსაც ევროპის ჩემპიონატი დააგვირგვინებს.

სხვისი არ ვიცი და დევიდ ბექჰემის მადრიდული შოუ სულაც არ გამოდგება ევროპული სეზონის გვირგვინად, იმიტომ რომ გასულ კვირაში მინდორზე გარდაიცვალა მარკ ვივიენ ფოე, კარგი ფეხბურთელი და კარგი ადამიანი.

ბექჰემის გასინჯვა სამასი ათას დოლარამდე დამჯდარა, ფოეს გასინჯვა კი ვერც მოასწრეს. მისი სიკვდილი სწორედაც რომ გვირგვინია ამ მოქანცველი, მძიმე ზღვარამდე მისული ამბისა, რასაც ევროპული სეზონი ჰქვია.

ინგლისში ალაპარაკდნენ, ეგებ, როგორმე პრემიერლიგის თამაშები შევამციროთო. ეს ლაპარაკი ფოეს სიკვდილმა გამოიწვია.

აქ სეზონი დამთავრდა, სამხრეთ ამერიკაში კი ორშაბათიდან გაგრძელდება მხოლოდ ერთი დიდი შეჯიბრი, ბრაზილიის ჩემპიონატი. ლიბერტადორესის თასი „ბოკამ“ მოიგო, კლაუსურა კი დღეს და ხვალ სრულდება. ბრაზილიაში, მგონი საერთოდ აღარ არის სეზონის დასრულების ცნება — იქ ყოველთვის გამუდმებით თამაშობდნენ.

სამაგიეროდ, ამ კვირაში მეტად სასიამოვნო იყო ევროპული ვარსკვლავების ცქერა; მათ ორ დღეში ორი უბრალო თამაში გამართეს. პორტუგალიაში ჩატარდა „ფიგუ XI“-სა და „იუნისეფის“ კაი ნაკრებების სასეირო თამაში, მეორე დღესვე კი ამ ორი გუნდის ფრანგული შემადგენლობა ერთი-ორი სხვა ვარსკვლავის თანხლებით და „ოლ სტარზის“ სახელით მაროკოში ჩაფრინდა და იქაურ ოლიმპიურ ნაკრებს ებურთავა.

ვითომ არაფერი, მაგრამ კარგი თამაშები იყო. ამ სეზონის შემდეგ უცებ მიგახვედრებდა რა კარგი საცქერია ხანდახან უბრალო, დაუძაბავი ფეხბურთი, რა კარგად დაგორავს დიდოსტატის მიერ გაგორებული ბურთი და რა კარგია, როცა არავინ არავის ამტვრევს და თვით ედგარ დავიდსიც ფინტებშია გართული.

სამწუხაროდ, ასეთი თამაშები იშვიათია, ძალიან კი უხდება ფეხბურთს. იმ დღესაც, რუსები რომ თავიანთი ლიგის ლეგიონერებს ეთამაშნენ, კარგი საცქერი იყო და თვით ფეხბურთელებსაც, განსაკუთრებით ვარსკვლავებს, სჭირდებათ ასეთი მატჩები, სჭირდებათ მოედანზე იმ ჯადოსნური რამეების ჩვენება, რასაც გახურებულ თამაშში არავინ აჩვენებინებს.

მძიმე სეზონი იყო. ბოლოს მარკ ვივიან ფოე გარდაიცვალა, იმ ქალაქის მინდორზე, რომელიც ძალიან უყვარდა. ჯანზე ვერ იყო და იმ ქალაქის მუღამში გავიდა მოედანზე, ჩემი ქალაქიაო და ჩემი ხალხიაო. განა ბევრი ადამიანი კვდება ასე?

უკან მძიმე სეზონი ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არისტოკრატიული რომანის დეტალები

## აბრამოვიჩმა სიყვარული ახსნა და ნესტა გაამხილა

ვინ არის ეს კაცი და რატომ იყიდა „ჩელსის“ აქციათა ნახევარზე მეტი? ეს კითხვა რომან აბრამოვიჩმა არაერთ ინგლისელს გაუჩინა. 36 წლის მილიარდერს და ჩუკოტკის გუბერნატორს ამის შესახებ BBC-ის მიმომხილველი ჯეფ რენდელი ესაუბრა.

რენდელის კითხვაზე, რა ხეირს ელოდება საქმოსანი „ჩელსისგან“, რომან აბრამოვიჩმა ღიმილით მიუგო: „ეს ფულისთვის არ გამიკეთებია. მე სხვა ნაკლებსახიფათო საქმეები ვიცი, რომლებსაც ჩემი ქისის შევსება შეუძლია“.

თუ ხეირს არა, მაშ, რას ელით და რა გსურთო, ჰკითხა მიმომხილველმა, რაზეც ასეთი პასუხი მიიღო: „თავად „ჩელსის“ ქომაგი ვარ და კლუბის დიდი წარმატებებით დატკბობა მსურს. ჩემი ოცნება ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის შეძენა იყო და კიდეც ავისრულე. პრემიერლიგა დანარჩენ ევროპულ ლიგებს არაფრით ჩამოუვარდება. ვიცი, რომ „ჩელსის“ სიყვარულზე ჩემს ნათქვამს ბევრი არ დაიჯერებს, ბევრს კი გიჟი ვგონივარ“.

რომან აბრამოვიჩმა თქვა, „ჩელსის“ თამაშებზე სიამოვნებით ჩამოვალო.

„ლონდონში მატჩზე დასწრება და რუსეთში დაბრუნება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ შეიძლება ყოველთვის ვერ მოვახერხო“.

36 წლის ბიზნესმენმა სამომავლო გეგმები ჯერ არ გაამხილა, თუმცა კენ ბეიტსის ვარაუდით, ახალი მფლობელის ფულიდან 30 მილიონი რამდენიმე სავარჯიშო მოედნის აშენებაზე დაიხარჯება.

გუნდიდან ჯან ფრანკო ძოლას წასვლის ამბავი უკვე გამცნეთ. ლონდონში დამრჩენთა შესახებ კი გეტყვით, რომ ჯონ ტერიმ და კარლტონ კოულმა კლუბთან ახალი, ექვსწლიანი კონტრაქტები გააფორმეს.





რაც შეეხება სიახლეებს, ინგლისური „სანის“ ინფორმაციით, შესაძენ ფეხბურთელთა აბრამოვიჩისეული ნუსხა ასეთია: ტიერი ანრი, ანდრეი შევჩენკო, ალესანდრო ნესტა, ედგარ დავიდსი, რივალდო, პატრიკ კლუივერტი, ჯო კოული და ჰარი კიუელი. როგორც ხედავთ, ახალ პატრონს მადა არ დაეწუნება, მაგრამ კალმის აღება და სიის ჩამოწერა იოლია, ფეხბურთელის გადაბირება კი გაცილებით ძნელი.

რომან აბრამოვიჩი თვისტომი ებრაელი აგენტის, პინი ზაჰავის მეშვეობით „მილანს“ უკვე დაუკავშირდა ნესტას თაობაზე და 35 მილიონი გირვანქაც შესთავაზა. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ გაამხილა, რომ ლონდონელთაგან წინადადება ნამდვილად მიიღო, მაგრამ იქვე მოკლედ მოჭრა — ალესანდრო ნესტა არ იყიდებაო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სერის ახალი კანტონა

## ფერგიუსონი კაცებს ძერწავს

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ დევიდი გაუშვა და დავიდი მიიყვანა. პრემიერლიგის ჩემპიონმა „სანდერლენდიდან“ 20 წლის ფრანგი ფორვარდი დავიდ ბელონი შეიძინა. მანჩესტერელებმა ფეხბურთელი მუქთად გადაიბირეს, რადგან მას პირველ დივიზიონში დაქვეითებულ „სანდერლენდთან“ კონტრაქტი დაუსრულდა.

ფრანგი ინგლისში 2001 წელს „რენიდან“ გადაბარგდა, პრემიერლიგაში 20-ჯერ ითამაშა, მაგრამ ოციდან ძირითად შემადგენლობას მხოლოდ ხუთჯერ ეღირსა.

დევიდ ბექჰემის გაყიდვის შემდეგ ეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ პირველი შენაძენია.

„აფორიაქებული ვარ. არც კი მჯერა, რომ „მანჩესტერის“ მაისურა მოვირგე. ჩემი თანატოლები ამ კლუბში თამაშზე ოცნებობენ, მე კი ოცნება მოულოდნელად ამიხდა. ვეცდები, ნდობა გავამართლო და მწვრთნელს ჩემი შესაძლებლობები ვაჩვენო“ — თქვა სიხარულით გაოგნებულმა ფეხბურთელმა.

სერ ალექს ფერგიუსონი მოთამაშეების შერჩევაში თითქმის არასოდეს ცდება და ახლაც დარწმუნებულია, რომ დავიდ ბელონისგან კაცი დადგება: „მას უდიდესი პოტენციალი აქვს და ჩემს გეგმებს აშკარად ერგება“ — დასძინა შოტლანდიელმა.







ერიკ ჯემბა-ჯემბა და დავიდ ბელონი

მეორე შენაძენი კამერუნელი ერიკ ჯემბა-ჯემბაა. აფრიკელ „კანტონად“ წოდებულმა, „ნანტის“ 22 წლის ფეხბურთელმა მანჩესტერში სამედიცინო შემოწმება გაიარა.

ერიკ ჯემბა-ჯემბამ, ახალ კლუბთან ხუთწლიან კონტრაქტი გუშინ გააფორმა. მისი გადაბირება ალექს ფერგიუსონს ძალიან ეწადა და ხუთ მილიონ ევროდ ჩაიგდო კიდეც ხელში.

„ნანტმა“ ზემოთ ხსენებული თანხა უკვე მიიღო და ერთ მილიონსაც იმ შემთხვევაში დაუმატებენ, თუ ფეხბურთელი გარკვეული რაოდენობის მატჩებში გუნდის ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

ერიკ ჯემბა-ჯემბა: „თუ „მანჩესტერის“ დონის კლუბმა ჩემი შეძენა გადაწყვიტა, ეს ნიშნავს, რომ მ[illegible]“.

ალექს ფერგიუსონი: „ერიკი ახალგაზრდა და ნიჭიერი მოთამაშეა, რომელსაც განვლილი სეზონის მანძილზე ვაკვირდებოდი. მას მოედნის ხედვის და ბურთის ფლობის განსაკუთრებული უნარი აქვს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გატაცება ქართულად, გამოხსნა არგენტინულად

*„რივერ პლეიტის“ ფორვარდი დარიო უსაინი არგენტინული დროით ოთხშაბათს, ჩვენებურად კი ხუთშაბათს გაიტაცეს. ბედად, პოლიციამ ფეხბურთელი იმავე დღეს დაიხსნა, გამტაცებელთაგან რამდენიმე კი დააპატიმრა.*

*არგენტინაში ფეხბურთელთა გამტაცებლობა მოდურ პროფესიად ითვლება, ბოლო ერთ კვირაში უსაინი მეორე გატაცებულია. ექვსი დღით ადრე მისი თანაგუნდელის, ვეტერანი ნახევარმცველის ლეონარდო ასტრატას მამა გაიტაცეს, რომელიც ჯერაც ტყვეობაშია.*



დარიო უსაინი

# უეფამ გაარჩია და წილი მოითხოვა

11 ივნისს სტამბოლში თურქები და მაკედონიელები ერთმანეთს გაეჯიბრნენ ევრო 2004-ის შესარჩევ მატჩში. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. გოლის ავტორმა თავის გულშემატკივრებთან მირბინა და ქვეყნის დროშაც ააფრიალა. თურქებმა სტვენა ატეხეს, რასაც ბოთლ-სანთებელები მიაყოლეს. მაკედონიელთა ნახევარმცველ საშკო ლაზარევსკის თავში ბოთლი მოარტყეს და ფეხბურთელი ექიმების ხელში ჩავარდა. გაცოფებული ფანების დაშოშმინებას კარგა ხანი დასჭირდა.

მატჩზე მივლენილმა უეფას დელეგატმა ნანახ-გაგონილი ჩაიწიკწიკა და დისციპლინარულ კომიტეტს კარზე კაკუნით მიართვა. დისციპლინარებმა თურქთა ცოდვა-მადლი აწონეს და 37 ათასი ევრო ჯარიმა გამოუწერეს.

თავიდან კომიტეტის წევრებმა ოსმალოთა დასჯის ქართული ვარიანტი — მომავალი მატჩის უმაყურებლოდ გამართვა განიზრახეს. მერე გაახსენდათ, რომ თურქები 11 ოქტომბერს ინგლისელებს ჯგუფში პირველი ადგილისთვის ხვდებიან და სტადიონის გარშემო თავმოყრილი ფანობა გაცილებით საშიში იქნებოდა. ამიტომაც ფულადი ჯარიმა აკმარეს.

მაკედონიელებს კი უეფელებმა გოლის გატანით გამოწვეული სიხარულის გამოხატვა დაუწუნეს და იქაურ ფედერაციის 7 ათასი ევრო შეაწერეს.

**რომან თურქია**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ოქროს ქორწილი

*და აი, მადრიდში ვარ, „რეალის" „ოქროს ქორწილზე". სამეფო კლუბი 1902 წელს დაარსდა. ახლა 1952 წელია. ნახევარსაუკუნოვანი იუბილესთვის იქაურები საოცარი გულმოდგინებით ემზადებოდნენ. ნამდვილი და დიდებული ზეიმი იყო. სხვათა შორის, ზეიმი მადრიდს გასცდა, რადგან მატჩები რამდენიმე ქალაქში იმართებოდა*

„მილიონარიოსს" პირველი თამაში ვალენსიაში, ქალაქისავე სახელწოდების გუნდთან ჰქონდა. თუმც ვალენსიაში წასვლამდე, მადრიდი დავათვალიერეთ. დედაქალაქს მაშინ არ მოუხდენია ჩემზე ისეთივე შთაბეჭდილება, როგორსაც ახლა. იგივე ქუჩები დღეს გაცილებით მეტ შთაბეჭდილებას ახდენს. მაშინ კი ქალაქი მეტისმეტად რუხად მეჩვენებოდა. თან ერთი მაღალი შენობაც არ იყო. განთქმულ მალაზიათა ქსელი „ფორტე ინგლისი" ძალიან მოკრძალებულად გამოიყურებოდა, მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი, შევედი, იქიდან კი ელეგანტური კოსტუმით გამოვედი. ორი ათას დოლარიანი შეკვრა, რომელიც კოლუმბიიდან გამოვიყოლე, მნიშვნელოვნად შეთხელდა, თუმცა ამას ოდნავაც არ შევუწუხებივარ. რაც „მილიონარიოსში" ვიყავი, თავს ნაღდ მილიონერად ვგრძნობდი და უარს არაფერზე ვამბობდი.

მადრიდში კორიდასაც დავესწარით.

ფეხბურთი კი ჩვენთვის სტადიონ „მეტროპოლიტანოზე" დაიწყო, სადაც მადრიდის „ატლეტიკოს" და ბილბაოს „ატლეტიკის" მატჩს დავესწარით. საოცრად დაძაბული თამაში იყო, ფეხბურთელები თავს არ ზოგავდნენ. მაშინ ვიგრძენით, მძიმე ბრძოლები რომ გველოდა და ესპანეთში გასასეირნებლად არ ჩამოვსულვართ.

ჩვენი ვალენსიაში თამაში იქაურ დღესასწაულს დაემთხვა და მართლაც სადღესასწაულო განწყობა იყო: გადაჭედილი სტადიონი, 50 ათასი მაყურებელი, დროშების ფრიალი, სიმღერები და დოლებზე ბრახუნი.

ხასიათი მხოლოდ არდანიშნულმა პენალტმა გამიფუჭა. საჯარიმოში შევიჭერი და მცველმა წამაქცია. მსაჯმა დასტვინა, მაგრამ მერე შეყოყმანდა და კუთხურისკენ გაიშვირა ხელი. ის მატჩი უგოლოდ დამთავრდა.

მეორე თამაში წავაგეთ. „ლას პალმასს" შევხვდით და 2:3 დავთმეთ. მხოლოდ იმით დავრჩი კმაყოფილი, რომ ერთი გოლი შევაგდე. მაგრამ მთავარი ამბები წინ გვქონდა — მესამე მატჩში „ნორჩიოპინგს" შევხვდით, რომელშიც დიდებული გუნარ ნორდალი თამაშობდა. ნორდალისთანა ფეხბურთელი იქამდე არასდროს მენახა.

თამაში 2:2 დასრულდა. გოლი არ გამიტანია, შეუძლებელიც იყო, რადგან მთელი 90 წუთი ფეხდაფეხ ორი პერსონალური მეურვე დამდევდა. სამაგიეროდ, ჩემმა თანაგუნდელებმა ამით ისარგებლეს.

ამის მერე კი გადამწყვეტი მატჩი იყო. მართალია, ჩვენს მერე „რეალი" შვედებს ხვდებოდა, მაგრამ თუ მოვიგებდით, ტურნირზე გამარჯვებაც დაგვრჩებოდა, „რეალი" ველარ დაგვეწეოდა.

ახალაშენებულ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ვითამაშეთ. მთლიანად გადაჭედილი იყო, სულ ცოტა, 70 ათასი კაცი იჯდა. მინდორი კი არ ვარგოდა, ორმოები იყო. თან გადაულებლად წვიმდა და გაუთავებლად ვსრიალებდით. ერთ მომენტში გაბრიელ ალონსომ ფეხი საშინელი ძალით ჩამაზილა. კოჭის ზემოთ წვივი მაშინვე გამისივდა და პომიდორივით გამიწითლდა. მაგრამ ძალიანაც არ გავბრაზებულვარ. მთავარია, რომ 4:2 მოვიგეთ და მე ორი გოლი გავატანე. მეორე განსაკუთრებით ლამაზი გამომივიდა. მერე ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის საგანგებო პრიზიც მომცეს. ჩვენს გასახდელში თვით სანტიაგო ბერნაბეუც ჩამოვიდა და სათითაოდ მოგვილოცა. მე და როსის კი გაყოლა და რადიოთი მასთან ერთად გამოსვლა გვთხოვა. განა უარის თქმა შეიძლებოდა?! ასე გავიცანი „რეალის" ბოსი.

გამოსათხოვარი მატჩი სევილიაში ჩავატარეთ. ისე წვიმდა, ფრენა გადაიდო და მატარებლით გავემგზავრეთ. სხვები წუწუნებდნენ, მე კი ძალიან გამიხარდა, თვითმფრინავს რომ ავცდი.

თამაში 1:1 დასრულდა. მე გოლი გავიტანე, როსიმ კი პენალტი გააფუჭა. თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

სევილიაში სტუმრობიდან ყველაზე მეტად ის დამამახსოვრდა, რომ სტუმართმოყვარე მასპინძლებმა ჰალვა გვაჩუქეს. ცოტა იქვე ვჭამეთ, რაც დაგვრჩა, უკან წავიღეთ. ბოგოტაში ნიუ იორკის გავლით დავბრუნდით და იქაური მებაჟეების სახეები უნდა გენახათ, როგორ ეჭვით უყურებდნენ ჩვენს ჰალვას. არ ვიცი, რა ეგონათ, სათითაოდ ყველა პაკეტიდან კი გასინჯეს. იმდენი მოუვიდათ, რომ ლამის ცუდად გახდნენ.

კოლუმბიაში დაბრუნებულს აზრად არ მომივიდოდა, რომ ესპანეთში მალე მომიწევდა მეორედ ჩასვლა. ბოგოტაში კარგად ვცხოვრობდი და ბედნიერი ვიყავი. „მილიონარიოსთან" კონტრაქტი 1954 წლამდე მქონდა, თან კოლუმბიაში მე და სარას ორი გოგონაც შეგვეძინა. სრული ოჯახური იდილია მქონდა და ცვლილებებზე როგორ ვიფიქრებდი.

მაგრამ იმავე 1952 წლის ივლისში კოლუმბიაში „რეალი" ჩამოვიდა. იმ დროს ესპანურ გაზეთებში უკვე იწერებოდა, რამდენიმე ჩვენს კლუბს „მილიონარიოსის" ცენტრფორვარდის ყიდვა სურსო. ამ ცნობებმა ჩემს ყურამდეც მოაღწია და რაღაც მომენტში უეცრად გავიფიქრე: „რატომაც არა?" თან კოლუმბიაში საფეხბურთო სიტუაცია ნელ-ნელა იცვლებოდა, ფინანსური პრობლემები იქაც გაჩნდა. თუმც ყველაფერი არც ისე ცუდად იყო, როგორც არგენტინაში.

„რეალი" ბოგოტაშიც დავამარცხეთ. თამაშს 50 ათასი კაცი დაესწრო. პირველი გოლი ოლსენმა გაგვიტანა. მე გავათანაბრე, პადერნერამ კი გამარჯვებისა შეაგდო.

48 საათის შემდეგ ისევ შევხვდით და ისევ მოვიგეთ — 1:0. ოღონდ, ეს გოლი მე არ გამიტანია.

მესამე მატჩის ჩასატარებლად ვენესუელაში გავემგზავრეთ და იქ 1:1 ვითამაშეთ. ჩვენგან ვინ გაიტანა, არ მახსოვს, ესე იგი, მე არ გამიტანია.

ამ დროისთვის ხმები ჩემით ესპანელთა დაინტერესების შესახებ ჩემს ცნობიერებაში იმდენად მყარად ჩაიბეჭდა, რომ წლის ბოლოს „მილიონარიოსს" ჩილეში ტურნეში არ გავყევი და სამშობლოში გავემგზავრე.

შობას მშობლიურ სახლში მთელი ოჯახი ერთად შევხვდით. ნაახალწლევს კოლუმბიაში უნდა დავბრუნებულიყავი, რაც უკვე ძალიან აღარ მინდოდა.



გუნარ ნორდალმა დი სტეფანო გაცვირვა



სანტიაგო ბერნაბეუმ მადრიდში ნასტუმრები
დი სტეფანო და მისი თანაგუნდელი როსი რადიოში დაპატიჟა

# იტალიური ტრანსფერები 2003

## ანკონა

**მოვიდნენ**

კარუზი (კალიარი)
ჯაკობო (მესინა)
ლუიზო (სალერნიტანა)
მონტერვინო (ნაპოლი)
მოსკარდი (ჯენოა)
მუსი (არეცო)
პეკარიზი (არეცო)
მადს იორგენსენი (ბრონდბიუ, დანია)

**წავიდნენ**

ბუდანი (პალერმო)
კერიონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დე პატრე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გრაფიედი (მილანი)
ლომბარდი (ინტერი)
მაგონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მუნდულა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პასილია (არეცო)
რობიატი (ინტერი)
სარი (მილანი)
სკარპი (ინტერი)
სკენარდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტარანა (პარმა)

## ბოლონია

**მოვიდნენ**

გამბერინი (ვერონა)
როკატი (დანდი, შოტლანდია)
მანინგერი (ტორინო)

**წავიდნენ**

ფალკონე (სამპდორია)
ფრარა (იუვენტუსი)
პარამატი (რეჯინა)
სალვეტი (ვერონა)
ვანოლი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ძანკი (იუვენტუსი)

## ბრეშა

**მოვიდნენ**

ალიარდი (კოზენცა)
კარაჩოლო (პერუჯა)
კასტელაცი (კატანია)
კორეა (მარტინა)
ე. ფილიპინი (პარმა)
გონსალესი (სალერნიტანა)
გუანა (კალიარი)
მატუზალემი (პარმა)
ნიგაარდი (ექსელსიორი, ჰოლანდია)
სალგადო (ვერონა)
სტანკევიჩიუსი (კოზენცა)
ილანა (ვერონა)
ა. ლუკარელი (პალერმო)
რამონი (ტრიესტინა)

**წავიდნენ**

კორტელინი (ლუმეცანე)
ტონი (პალერმო)
აპია (პარმა)
ბილიკა (პალერმო)
ჯუნტი (ბეშიქთაში, თურქეთი)
გვარდიოლა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მიჩილო (კოზენცა)
სერენი (იფსვიჩი, ინგლისი)
სერიჩი (ვერონა)

## ემპოლი

**მოვიდნენ**

აგოსტინი (სიენა)
ფოჯა (ტრევიზო)
გასპარეტო (პრატო)
მირი (კატანია)
რაზაკი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი)

**წავიდნენ**

ალეგრეტი (კომო)
ატცორი (პალერმო)
ბორიელო (მილანი)
კაპელინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გრიეკო (პარმა)
ვანუკი (პალერმო)

## ინტერი

**მოვიდნენ**

ბრნჩიჩი (ვენეცია)
ჰელვეგი (მილანი)
კარაგუნისი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი)
ლომბარდი (ანკონა)
ლუსიანო (კიევო)
პერალტა (რასინგი, არგენტინა)
რობიატი (ანკონა)
სკარპი (ანკონა)
ლამუში (პარმა)

**წავიდნენ**

ბატისტუტა (ალ არაბი, ყატარი)
სემიოლი (კიევო)
სერენა (კომო)
ვივასი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მორფეო (პარმა)
დავალა უმითი (ვერდერი, გერმანია)

## იუვენტუსი

**მოვიდნენ**

ატირსონი (ფლამენგო)
კამორანეზი (ვერონა)
კარინი (სტანდარდი, ბელგია)
ფრარა (ბოლონია)
გუზმანი (ტერნანა)
ლეგროტალიე (კიევო)
მიკოლი (პერუჯა)
მორეტი (მოდენა)
რიგონი (ტრიესტინა)
მ. ვიერი (ვერონა)
ძანკი (ბოლონია)
აპია (პარმა)
მარესკა (პიაჩენცა)

**წავიდნენ**

არონიკა (მესინა)
ბონეფოი (მესინა)
გასტალდელო (კიევო)
ჯენტილე (მესინა)
ლავეკია (მესინა)
პარო (კიევო)
სკული (კიევო)
ძამბონი (ნაპოლი)
კ. ძენონი (სამპდორია)
ბლაზი (პარმა)
მორეტი (პარმა)
მ. ვიერი (ნაპოლი)
გასბარონი (პალერმო)

## კიევო

**მოვიდნენ**

ბრუნო (ასკოლი)
დანჯელო (ნაპოლი)
გასტალდელო (იუვენტუსი)
ლონგო (კალიარი)
მარაცინა (რომა)
პარო (იუვენტუსი)
სკული (იუვენტუსი)
სემიოლი (ინტერი)
ვერონეზე (ვიჩენცა)
ძენკეტა (ვიჩენცა)
ამაური (მესინა)
მალაგო (ჯენოა)
სამარკო (მილანი)
მარკეჯანი (ლაციო)

**წავიდნენ**

ამბროზიო (ჩელსი, ინგლისი)
დ. ანდერსონი (პალერმო)
ბირჰოფი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბიელანოვიჩი (კომო)
დელა მორტე (ვიჩენცა)
ჯანელო (სიენა)
გრასადონია (კალიარი)
ლეგროტალიე (იუვენტუსი)
ლუსიანო (ინტერი)
რისპი (გიოტებორგი, შვედეთი)
ლუპატელი (რომა)
დ. კამარა (მოდენა)

## ლაციო

**მოვიდნენ**

ბარონიო (პერუჯა)
ინოჩენტი (ბარი)
კ. მანფრედინი (ოსასუნა, ესპანეთი)
მენდიეტა (ბარსელონა, ესპანეთი)

**წავიდნენ**

კონჩეტი (პერუჯა)
ლაზეტიჩი (კომო)
მარკეჯანი (კიევო)

## ლეჩე

**მოვიდნენ**

აბრუცეზე (ფ. ანდრია)
ბილი (ბასტია, საფრანგეთი)
ბუდელი (მილანი)
კორალო (ტარანტო)
ფრეცოლინი (ვენეცია)
მორელო (ფ. ანდრია)
ნობილე (პოჯიბონზი)
პელიკორი (ვარეზე)
სავინო (ნაპოლი)
ტესტა (გუბიო)
ვინკლაარი (სორა)

**წავიდნენ**

კამორანი (სალერნიტანა)
დი ვიჩინო (სალერნიტანა)
ლასპალი (ნანტი, საფრანგეთი)
ლეო (ვიტერბეზე)
ნუცაჩი (ფ. ანდრია)
პოლეკსიჩი (სუტიესკა, სერბეთი)
მ. როსი (პალერმო)



ლუკა მარკეჯანი „კიევოს“ კარს დაიცავს

## მილანი

**მოვიდნენ**

ალიუ (სიენა)
ბაუ (ტრიესტინა)
ბორიელო (ემპოლი)
კაფუ (რომა)
ალბერტინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
კოლოჩინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
გრაფიედი (ანკონა)
ხოსე მარი (ატლეტიკო, ესპანეთი)
რ. მასარო (პარმა)
პორკარი (პარმა)
რაბიტო (სამპდორია)
სარი (ანკონა)

**წავიდნენ**

დომორო (ესპანიოლი, ესპანეთი)
პასტრელო (ვერონა)
ანტონინი (სამპდორია)
ბა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბუდელი (ლეჩე)
შამოტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დომიცი (სამპდორია)
დონადელი (პარმა)
დონატი (სამპდორია)
ფავარო (პარმა)
ჰელვეგი (ინტერი)
სტეფანი (პარმა)
ლეონარდო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სამარკო (კიევო)

## მოდენა

**მოვიდნენ**

ტალდო (კომო)
დ. კამარა (კიევო)

**წავიდნენ**

ჯ. კოლუჩი (ვერონა)
ფერარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მორეტი (იუვენტუსი)
კალია (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## პარმა

**მოვიდნენ**

ამაური (მესინა)
აპია (ბრეშა)
ბოლანო (სამპდორია)
ბონაცოლი (რეჯინა)
დონადელი (მილანი)
ფალზინი (რეჯინა)
ფავარო (მილანი)
გრიეკო (ემპოლი)
მაჯო (ვიჩენცა)
მარკიონი (პიაჩენცა)
მილოშევიჩი (ესპანიოლი, ესპანეთი)
პოჯი (ვენეცია)
სივილია (ატალანტა)
სტეფანი (მილანი)
ტარანა (ანკონა)
მორეტი (იუვენტუსი)
ბლაზი (იუვენტუსი)
მორფეო (ინტერი)

**წავიდნენ**

ბასო (პრატო)
დიანა (სამპდორია)
ე. ფილიპინი (ბრეშა)
რ. მასარო (მილანი)
მატუზალემი (ბრეშა)
პიერინი (რეჯინა)
პორკარი (მილანი)
ტაფარელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვიტიელო (ვიჩენცა)
აპია (იუვენტუსი)
ლამუში (ინტერი)

## პერუჯა

**მოვიდნენ**

კონჩეტი (ლაციო)
დო პრადო (კატანია)
ფილიპი (სამბენედეტეზე)
გატი (კატანია)
ჯედაფი (ალ იტიჰადი, საუდეთი)
ინოფო (აველინო)
მონაკო (კატანია)
პარიზი (რასინგი, არგენტინა)
ტერა (სორა)
დიამუტენე (ლუკეზე)

**წავიდნენ**

ბარონიო (ლაციო)
ბლაზი (იუვენტუსი)
კარაჩოლო (ბრეშა)
მიკოლი (იუვენტუსი)
მილანეზე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რეზაეი (ზობ ჰანი, მაროკო)
სოლიანო (ნაპოლი)
ვიალი (ვენეცია)

## რეჯინა

**მოვიდნენ**

დელ აკუა (ჩიტადელა)
ჰოტეკი (სლავია, ჩეხეთი)
პიერინი (პარმა)
ტედესკო (კოზენცა)
ძოპეტი (სალერნიტანა)

**წავიდნენ**

ბონაცოლი (პარმა)
კარდინალე (სალერნიტანა)
დი მიკელე (უდინეზე)
ფალზინი (პარმა)

## რომა

**მოვიდნენ**

დაკური (ლიდსი, ინგლისი)
ლანძარო (კოზენცა)
მანჩინი (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
პეპე (ტერამო)
დაგოსტინო (ბარი)
ლუპატელი (კიევო)
რანალი (კალიარი)

**წავიდნენ**

ალდაირი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფუზერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კაფუ (მილანი)
მარაცინა (კიევო)

## სამპდორია

**მოვიდნენ**

ანტონინი (მილანი)
დიანა (პარმა)
დომიცი (მილანი)
დონატი (მილანი)
დონი (ატალანტა)
იაკოპინო (კატანია)
ჟობ-იიოკი (კრემონეზე)
მეკონგო-ონდოე (კრემონეზე)
პოსანცინი (კატანია)
იანაგისავა (კაშიმა, იაპონია)
კ. ძენონი (იუვენტუსი)
ფალკონე (ბოლონია)

**წავიდნენ**

ბოლანო (პარმა)
კაზაცა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გასბარონი (პალერმო)
მიკელი (პიაჩენცა)
პაგანინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პინატო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რაბიტო (მილანი)
კუჩიარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## სიენა

**მოვიდნენ**

დელი კარი (ტორინო)
ჯანელო (კიევო)
ვორია (აველინო)
დავერსა (ტერნანა)

**წავიდნენ**

აგოსტინი (ემპოლი)
ალიუ (მილანი)
ფორტინი (ტრევიზო)
მანდელი (ტორინო)
მარტინელი (ტორინო)
პინგა (ტორინო)
სკალცო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტალიალატელა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტირიბოკი (ტორინო)

## უდინეზე

**მოვიდნენ**

ბედინი (კოზენცა)
დი მიკელე (რეჯინა)
გარგო (ვენეცია)
გუტიერესი (მესინა)
გ. მარტინესი (ნაპოლი)
მიკოლუჩი (პესკარა)
მუსლიმოვიჩი (ასკოლი)
ნალიცისი (აეკ, საბერძნეთი)
პაზენცა (ფოჯა)
სოზა (ხიმნასია, არგენტინა)

**წავიდნენ**

ბონაიუტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

## დღეიდან კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. XIII ტური | | | | | | |
| | | 6 ივლისი | | | | | | |
| 20.00 | 004 | ენკოპინგი-სუნდსვალი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 20.00 | 005 | ჰალმსტადი-ოისტერი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 20.00 | 006 | ლანდსკრონა-ორებრო | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| | | 7 ივლისი | | | | | | |
| 22.00 | 007 | ელფსბორგი-მალმიო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.00 | 008 | გოტებორგი-აიკ | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 5 ივლისი | | | | | | |
| 03.05 | 038 | ეკვადორი-ნიგერია | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| | | ინტერტოტოს თასი | | | | | | |
| | | II ეტაპი. I მატჩები | | | | | | |
| | | 5 ივლისი | | | | | | |
| 20.00 | 019 | პობედა(მაკედონია)-პაშინგი(ავსტრია) | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 20.00 | 024 | შახტიორი(ბელარუსი)-ჩიბალია(ხორვატია) | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 20.00 | 028 | ორგრიტე(შვედეთი)-ნიცა(საფრანგეთი) | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.15 | 032 | მარეკი(ბულგარეთი)-ვოლფსბურგი(გერმანია) | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| 21.00 | 021 | დაჩია(მოლდოვა)-პარტიზანი(ალბანეთი) | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 21.00 | 022 | კოპერი(სლოვენია)-დუბნიცა(სლოვაკეთი) | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.00 | 026 | თუნი(შვეიცარია)-ბრნო(ჩეხეთი) | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 22.30 | 020 | სლობოდა(ბოსნია)-ლიერსი(ბელგია) | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 22.30 | 033 | ტილბურგი(ჰოლანდია)-ვილი(შვეიცარია) | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 23.30 | 025 | ბრეშია(იტალია)-გლორია(რუმინეთი) | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | 6 ივლისი | | | | | | |
| 20.00 | 023 | სტ.ტრუიდენი(ბელგია)-ტობოლი(ყაზახეთი) | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 20.00 | 030 | ხანოტი(ჩეხეთი)-ოცუკ(სერბია) | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 20.30 | 031 | ლიბერეცი(ჩეხეთი)-შემროკი(ირლანდია) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 21.00 | 027 | რასინგი(ესპანეთი)-ჯერი(უნგრეთი) | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 21.00 | 029 | ეგრატიტოსი(საბერძნეთი)-ალიანსი(ფინეთი) | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 21.00 | 034 | ტამპერე(ფინეთი)-სუტიესკა(სერბია) | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

## ფორმულა 1. საფრანგეთი. 5 ივლისი. (12.00)

| 4001 გამარჯვებული | | სამეული | | ექვსეული | | 4002 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,85 | 4101 | 1,15 | 4201 | 1,1 | 1,85 |
| ბარიკელო | 7,0 | 4102 | 2,1 | 4202 | 1,3 | 6,0 |
| რაიკონენი | 5,0 | 4103 | 1,65 | 4203 | 1,25 | 4,6 |
| მონტოია | 5.0 | 4104 | 1,9 | 4204 | 1,3 | 4,8 |
| კულტჰარდი | 15,0 | 4105 | 3,5 | 4205 | 1,5 | 10,0 |
| რ.შუმახერი | 5,6 | 4106 | 2,0 | 4206 | 1,25 | 6,0 |
| ალონსო | 20,0 | 4107 | 4,4 | 4207 | 1,5 | 17,0 |
| ტრული | 40,0 | 4108 | 7,0 | 4208 | 2,0 | 35,0 |
| ბატონი | 75,0 | 4109 | 15,0 | 4209 | 2,5 | 75,0 |
| ვილნევი | 75,0 | 4110 | 15,0 | 4210 | 3,2 | 100,0 |
| ფიზიკელა | 75,0 | 4111 | 15,0 | 4211 | 3,2 | 100,0 |
| პანისი | 75,0 | 4112 | 15,0 | 4212 | 3,2 | 100,0 |
| ვებერი | 75.0 | 4113 | 15.0 | 4213 | 3,2 | 100,0 |
| ფრენცენი | 100.0 | 4114 | 25,0 | 4214 | 3,2 | 100,0 |
| ჰაიდფელდი | 100.0 | 4115 | 25,0 | 4215 | 3,2 | 100,0 |
| დი მატა | 100.0 | 4116 | 25,0 | 4216 | 3,2 | 100,0 |

| 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|
| ფერარი | 1,4 |
| მაკლარენი | 3,0 |
| უილიამსი | 6,0 |
| რენო | 15,0 |
| ზაუბერი | 30,0 |
| ბარ | 30,0 |
| ტოიოტა | 50,0 |
| ჯორდანი | 60,0 |
| იაგუარი | 75,0 |
| მინარდი | 100,0 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## interwetten.com

## ინტერვეტენი (ავსტრია)

| | | | |
|---|---|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | | | |
| **5 ივლისი** | | | |
| აშშ — პარაგვაი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| **შვედეთი. XIII ტური** | | | |
| **6 ივლისი** | | | |
| ენკიოპინგი — სუნდსვალი | 2,35 | 3,0 | 2,35 |
| ჰალმსტადი — იოსტერი | 1,45 | 3,5 | 5,0 |
| ლანდსკრონა — იორებრო | 2,2 | 3,0 | 2,6 |
| **7 ივლისი** | | | |
| ელფსბორგი — მალმიო | 2,35 | 3,0 | 2,35 |
| გიოტბერგი — აიკ | 2,35 | 3,0 | 2,35 |
| **ინტერტოტოს თასი. II ეტაპი. I მატჩები** | | | |
| **5 ივლისი** | | | |
| იორგრიტე — ნიცა | 2,4 | 3,3 | 2,2 |
| შახტიორი — ციბალია | 2,2 | 3,3 | 2,4 |
| პობედა — პაშინგი | 2,2 | 3,3 | 2,4 |
| მარეკი — ვოლფსბურგი | 2,9 | 3,3 | 1,9 |
| კოპერი — დუბნიცა | 1,8 | 3,3 | 3,2 |
| თუნი — ბრნო | 1,8 | 3,3 | 3,2 |
| ტილბურგი — ვილი | 1,65 | 3,3 | 3,8 |
| ბრეშა — გლორია | 1,5 | 3,5 | 4,5 |
| **6 ივლისი** | | | |
| სინოტი — ოფკ | 1,7 | 3,4 | 3,5 |
| ლიბერეცი — შემროკი | 1,25 | 4,5 | 7,0 |
| აკრატიტოსი — ალიანსი | 1,9 | 3,3 | 2,9 |
| რასინგი — ეტო | 1,3 | 4,0 | 6,0 |
| ტამპერე — სუტიესკა | 1,9 | 3,3 | 2,9 |
| **არგენტინა. კლაუსურა. ბოლო ტური** | | | |
| **5 ივლისი** | | | |
| ჩაკარიტა — ნიუელს ოლდ ბოიზი | 2,2 | 3,0 | 2,6 |
| ნუევა ჩიკაგო — ბანფილდი | 1,65 | 3,2 | 3,9 |
| ტალერესი — ლანუსი | 2,0 | 3,0 | 2,9 |
| არსენალი — ხიმნასია | 2,1 | 3,0 | 2,8 |
| **6 ივლისი** | | | |
| კოლონი — ველესი | 2,3 | 3,0 | 2,4 |
| ინდეპენდიენტე — სან ლორენცო | 2,3 | 3,0 | 2,4 |
| რივერ პლეიტი — რასინგი | 1,45 | 3,6 | 4,8 |
| როსარიო — ბოკა ხუნიორსი | 2,1 | 3,0 | 2,8 |
| ესტუდიანტესი — უნიონი | 1,4 | 3,7 | 5,3 |
| **ბრაზილია. XVI ტური** | | | |
| **5 ივლისი** | | | |
| ფიგუირენსე — კრუიზეირო | 2,4 | 3,0 | 2,3 |
| სან პაულუ — სან კაეტანო | 1,65 | 3,2 | 3,9 |
| ვასკუ და გამა — პარანა | 1,5 | 3,5 | 4,5 |
| ასტლეტიკო მინეირო — პაისანდუ | 1,45 | 3,6 | 4,8 |
| ჟუვენტუდე — ინტერნაციონალი | 2,3 | 3,0 | 2,4 |
| **6 ივლისი** | | | |
| ატლეტიკო პარანაენსე — კორინთიანსი | 2,1 | 3,0 | 2,8 |
| ფორტალეზა — კრისიუმა | 2,0 | 3,0 | 2,9 |
| გრემიო — ფლამენგო | 2,0 | 3,0 | 2,9 |
| გუარანი — გოიასი | 1,5 | 3,5 | 4,5 |
| ვიტორია — პონტე პრეტა | 1,55 | 3,4 | 4,3 |
| ფლუმინენსე — ბაია | 1,6 | 3,3 | 4,0 |
| სანტოსი — კურიტიბა | 1,7 | 3,2 | 3,7 |

## CORAL EUROBET

## ევრობეთი (დიდი ბრიტანეთი)

| | | | |
|---|---|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | | | |
| **5 ივლისი** | | | |
| ეკვადორი — ნიგერია | 2,55 | 3,1 | 2,55 |
| აშშ — პარაგვაი | 2,1 | 3,1 | 3,25 |
| **შვედეთი. XIII ტური** | | | |
| **6 ივლისი** | | | |
| ენკიოპინგი — სუნდსვალი | 2,5 | 3,3 | 2,5 |
| ჰალმსტადი — იოსტერი | 1,45 | 3,75 | 6,75 |
| ლანდსკრონა — იორებრო | 2,1 | 3,3 | 3,1 |
| **7 ივლისი** | | | |
| ელფსბორგი — მალმიო | 2,9 | 3,3 | 2,2 |
| გიოტებორგი — აიკ | 2,1 | 3,25 | 3,1 |
| **ინტერტოტოს თასი. II ეტაპი. I მატჩები** | | | |
| **5 ივლისი** | | | |
| იორგრიტე — ნიცა | 2,5 | 3,1 | 2,5 |
| პობედა — პაშინგი | 2,0 | 3,2 | 3,2 |
| კოპერი — დუბნიცა | 1,65 | 3,4 | 4,5 |
| შახტიორი — ციბალია | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| მარეკი — ვოლფსბურგი | 2,85 | 3,1 | 2,2 |
| თუნი — ბრნო | 2,0 | 3,1 | 3,3 |
| ტილბურგი — ვილი | 1,6 | 3,5 | 4,75 |
| სლობოდა — ლიერსი | 2,65 | 3,2 | 2,3 |
| ბრეშა — გლორია | 1,6 | 3,4 | 4,85 |
| სენტ ტრუიდენი — ტობოლი | 1,3 | 4,5 | 7,5 |
| დაჩია — პარტიზანი | 1,8 | 3,25 | 3,8 |
| **6 ივლისი** | | | |
| სინოტი — ოფკ | 1,85 | 3,3 | 3,6 |
| ლიბერეცი — შევროკი | 1,25 | 4,75 | 8,5 |
| რასინგი — ეტო | 1,3 | 4,35 | 8,0 |
| აკრატიტოსი — ალიანსი | 1,7 | 3,3 | 4,3 |
| ტამპერე — სუტიესკა | 2,1 | 3,2 | 3,0 |

## sportsbook infoworld p2p

## გეიმბუკერსი (ინგლისი -ავსტრია)

| | | | |
|---|---|---|---|
| **ინტერტოტოს თასი. II ეტაპი. I მატჩები** | | | |
| **5 ივლისი** | | | |
| შახტიორი — ციბალია | 2,25 | 3,25 | 2,58 |
| პობედა — პაშინგი | 2,0 | 3,1 | 3,15 |
| იორგრიტე — ნიცა | 2,55 | 3,05 | 2,4 |
| მარეკი — ვოლფსბურგი | 3,0 | 3,25 | 2,0 |
| კოპერი — დუბნიცა | 1,7 | 3,35 | 4,0 |
| თუნი — ბრნო | 1,88 | 3,2 | 3,4 |
| სლობოდა — ლიერსი | 2,55 | 3,2 | 2,3 |
| ტილბურგი — ვილი | 1,6 | 3,4 | 4,5 |
| ბრეშა — გლორია | 1,48 | 3,4 | 5,9 |
| **6 ივლისი** | | | |
| სინოტი — ოფკ | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| სტ. ტრუიდენი — ტობოლი | 1,2 | 5,25 | 8,5 |
| ლიბერეცი — შემროკი | 1,26 | 4,5 | 8,0 |
| რასინგი — ეტო | 1,3 | 4,3 | 7,4 |
| ტამპერე — სუტიესკა | 2,05 | 3,15 | 3,0 |

*მოსკოვის ცსკა-ს ცნობილ მწვრთნელს დუშან ივკოვიჩს თანაშემწედ ქართული კალათბურთის ახლობელი კაცი, პაველ გოოგე ჰყავს. იგი ბათუმურ „ბასკოს“ ჯერ კონსულტანტობდა, შემდეგ კი შარშანდელ ეროვნულში უთავკაცა და საქართველოს ჩემპიონი იოლადაც გახადა. ერთი პირობა ცოტა დარჩა, გოოგეს საქართველოს ნაკრების ჩააბარეს, მაგრამ საბოლოოდ ხორვატი ბრაიკოვიჩი შეირჩა. დღეს კი გოოგე არმიელთა ახალგაზრდულ კემპზე ცსკა-სთვის ნიჭიერ ბიჭებს არჩევს, რომლებშიც „ბასკოს“ აღსაზრდელებიც ურევიან — გიორგი ცინცაძე, ნიკა ჩხატარაშვილი, დავით იმნაძე, ბუბა კვიმსაძე და ლაშა კეშელავა. ჩვენც ამიტომ დავუკავშირდით პაველ გოოგეს, მაგრამ საუბარი სულ სხვა დინებით წავიდა*



# გოოგე ქართველებს კარგად იცნობს

## კარგი ხარ, მაგრამ თავს არ არგიხარ

**— საქართველოდან გაწუხებთ, ჩვენებურთა ამბავი გვაინტერესებს...**

— ყველანი ყოჩაღად არიან და ცსკა-ს ახალგაზრდულ კემპში ცდილობენ თავის გამოჩენას.

**— თქვენ, ამ კემპის მწვრთნელი, როგორ შეაფასებდით ქართველ ბიჭებს?**

— მწვრთნელი რომ ვარ, იმიტომაც არ მინდა შეფასება. პერსპექტიულები რომ არ იყვნენ, აქ არც იქნებოდნენ.

**— როგორ მოხერხდა მათი ცსკა-ს კემპში მონაწილეობა?**

— ამ კითხვაზე „ბასკოს“ პრეზიდენტი, მერაბ ემირიძე უფრო ზუსტად გპასუხებთ.

**— მოსკოვში მყოფთაგან ნიჭი არც ერთს აკლია, თუმც გიორგი ცინცაძეს განსაკუთრებით გამოარჩევენ ჩვენში. თქვენ რას იტყვით მასზე?**

— რამდენიმე დღეა, რაც ცინცაძე გავიცანი. ჯერ მიჭირს რამის თქმა, ნიჭიერი რომ არის, კოჭებში ეტყობა, მაგრამ მომავალში რა იქნება, ვერ გეტყვით.

**— თუ რომელიმე მათგანს დაადგით თვალი, ალბათ, გუნდშიც დაიტოვებთ.**

— ჯერ ვერაფერს გეტყვით, კემპი 12 ივლისამდე გრძელდება.

**— თქვენ განთქმული მწვრთნელის, დუშან ივკოვიჩის თანაშემწე ბრძანდებით. როგორ დაახასიათებდით მას?**

— ივკოვიჩის კოლეგა ვარ და მართებულად არ მიმაჩნია მის თვისებებზე საუბარი. ერთს ვიტყვი, ივკოვიჩი გენიალური მწვრთნელია.

**— რა გეგმები გაქვთ, მოსალოდნელი ხომ არაა, ცსკა-ს თქვენ უთავკაცოთ?**

— ეგ კლუბის ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს. ისე, არც ეგაა გამორიცხული.

**— რადგან თქვენს გეგმებს შევეხეთ, მოდით, ის პერიოდი გავიხსენოთ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას რომ გთავაზობდნენ.**

— თქვენი ფედერაციის პრეზიდენტი პირველად შარშან, აპრილში დამიკავშირდა. შემდეგ, იანვარში მოსკოვში ჩამოვიდა და საკმაოდ საქმიანი საუბარიც გვქონდა. ის დამპირდა, რომ თებერვალში ისევ დამიკავშირდებოდა და საბოლოოდაც მაშინ გაირკვეოდა ყველაფერი, მაგრამ აღარავინ შემომხმიანებია.

**— ეტყობა, თქვენს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ...**

— მოთხოვნებს გააჩნია. ანაზღაურებაზე და სხვა ამგვარ საკითხებზე, მგონი, არც ყოფილა რაიმე წინააღმდეგობა. მე ვუთხარი მათ, ესა და ეს უნდა გაკეთდეს, სერიოზულ წარმატებას რომ მივაღწიოთ-მეთქი. ეს ძირითადად ნაკრების ორგანიზაციული საკითხები იყო.

**— ლეგიონერთა ჩამოყვანის უზრუნველყოფას გულისხმობთ?**

— ძირითადად ამას. ნაკრები იმ პირობით რომ ჩამებარებინა, თითქოს ცქიტიშვილი, სტეფანია, ფაჩულია ჩამოვიდოდნენ და შემდეგ ასე არ მომხდარიყო, რა შედეგისთვის უნდა მიმეღწია?! ისე კი, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი ქართველებთან. თქვენ უნიჭიერესი მოთამაშეები გყავთ და, რაც მთავარია, პერსპექტიული ბიჭების ნაკადი არ წყდება. ეგაა, ორგანიზებაში მოიკოჭლებთ, თორემ თავისუფლად შეგიძლიათ 2007 წლის ევროპის ჩემპიონატზე სამეულში მოხვედრა.

**— ერთ-ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა სულ ახლახან წავიდა ნბაში. რას იტყვით ზაზა ფაჩულიაზე?**

— ბოლო სეზონში ზაზას ორჯერ შევხვდი, მისი „ულქერი“ ცსკა-ს რომ ხვდებოდა ევროლიგაზე. ეს ის პერიოდი იყო, „ულქერში“ ჯოზეფ ბლერი რომ ბრწყინავდა და ზაზას თამაში თითქმის არ უწევდა. მე ის დავამშვიდე და ვუთხარი, რომ მისი დროც დადგებოდა. შემდეგ ბლერი დაშავდა და გეცოდინებათ, „პანათინაიკოსთან“ როგორ ითამაშა.

**— იმსახურებდა დრაფტზე 42-ე ნომრად არჩევას?**

— მე კარგად ვერ ვერკვევი ამერიკულ კალათბურთში. იქაურ მწვრთნელებს სხვანაირი შეხედულებები აქვთ. მთავარია, ფაჩულიამ ითამაშოს და რა მნიშვნელობა აქვს დრაფტის ნომერს.

**— ბოლოს ერთ თქვენს ნიჭიერ შეგირდზეც გკითხავთ: „ბასკოში“ რომ ავარჯიშებდით, იფიქრებდით, რომ მანუჩარ მარკოიშვილი ევროლიგის ოთხთა ფინალში ითამაშებდა?**

— მანუჩარი ძალიან ბეჯითი კალათბურთელია და რასაც მიაღწია, მისი მტკიცე ნებისყოფის შედეგია. მას რომ ბარსელონაში შევხვდი, გულში ჩავიკარი და წარმატება ვუსურვე. რა ახალგაზრდაა და უკვე ევროლიგის ფინალში ითამაშა. მჯერა, რომ მისი წინსვლა „ბენეტონზე“ არ შეჩერდება.

**ირაკლი პერტაია**

# კონტრაქტი: სამაღარიჩო აქტი

სანამ ჩვენ ვბჭობთ, გაუფორმებენ თუ არა ზაზა ფაჩულიას ორლანდოელები კონტრაქტს, დრაფტის პირველი წრის ზოგიერთ ჩეულს თავი უკვე ქუდში აქვს. ამ დღეებში რამდენიმე კლუბმა კონტრაქტები დაუდო თავიანთ რჩეულებს. დრაფტის პირველი ნომერი ლებრონ ჯეიმსი ამ საქმეშიც ერთ-ერთი პიონერია.

3 ივლისს „კლივლენდ კავალერზმა“ თავის პატარა (წლოვანებით) გენიოსს სამწლიანი და 12,96 მილიონიანი ხელშეკრულება დაუდო. „მოხარულები ვართ, რომ ლებრონი უკვე ოფიციალურად გახდა კლივლენდელი. დღეს დაიწყო მისი მოგზაურობა ნბა-ს უკიდეგანო სამყაროში“ — მოვლენის შესაფერი სიტყვები წარმოთქვა „კავალერიის“ გენმენეჯერმა ჯიმ პაქსონმა.

შევნიშნოთ, რომ ჯეიმსის საკონტრაქტო თანხამ მთელი 20 პროცენტით გადააჭარბა შარშანდელი დრაფტის პირველ რჩეულ იაო მინგისას, მაგრამ ახლოსაც ვერ მივა მწვანეთა იმ კოლოსალურ ოდენობასთან, რამდენიც თავად ჯეიმსმა უკვე იშოვა რაგინდარა სარეკლამო რგოლებში პოზირებით. ლებრონს „ნაიკმა“ 90-მილიონიანი კონტრაქტი ლანგრით მიართვა, სხვა შედარებით წვრილ-წვრილმა კომპანიებმა კი ოჰაიოელ ბიჭუნას 100 მილიონამდე შეუვსეს ნბა-ში მოხვედრამდე ნაშოვნი კაპიტალი. მსოფლიოში ეს ყველაზე მდიდარი თინეიჯერი აგერ, 8 ივლისს ზაზა ფაჩულიასთან ერთად გავა მოედანზე ორლანდოური კემპის გახსნით მატჩში და



ლებრონ ჯეიმსს მილიონები „კლივლენდმაც“ ჩაუთვალა

თუ ჩვენებურმა ერთი-ორი წაუფარა, მერე ნახეთ ამბავი...

ლებრონის კვალად ამრჩევ გუნდში ოფიციალურად ჩაირიცხა თიჯეი ფორდიც, რომელიც 26 ივნისს მე-8 ნომრის მპყრობელმა „მილუოკიმ“ ირჩია. ფორდი ოთხი წლით გახდა „ხარირემი“, ხოლო ამ ხანში რამდენ მილიონს მიიღებს, ამერიკული სააგენტოები არ იტყობინებიან.

ჯოშ ჰოვარდს კი ნაადრევად მოუწევს დალასში სამაღარიჩო სუფრის გაშლა. იგი პირველი წრის უკანასკნელი, 29-ე რჩეულია და ტეხასელთაგან მყის კონტრაქტის აფრიალებას ალბათ არ ელოდა. ლებრონ ჯეიმთან შედარებით ჰოვარდი გვარიანად ცოტას, სამ წელიწადში 2,1 მილიონს მიიღებს. ასე რომ, დრაფტის პირველი წრის თავ-ბოლოს „სულ რაღაც“ 10 მილიონი აშორებს.

ფაჩულია კი ელის...




თიჯეი ფორდს (მარჯვნივ) „მილუოკიში“ ფორმალობა აღარ გაუჭანჭლდა



# ლუისი კლიჩკოს ითხოვს



ლენოქს ლუისი

მსოფლიოს ნამდვილმა ჩემპიონმა კრივის მძიმე წონაში ლენოქს ლუისმა განაცხადა, რომ როი ჯონსთან დიდ ფულზე ჩხუბს ვიტალი კლიჩკოსთან რემატჩი ურჩევნია.

კლიჩკოსთან პირველ შეხვედრამდე, რომელიც ლუისმა ტექნიკური ნოკაუტით მოიგო ლოს ანჯელესში და ეს მოგება სალაპარაკო გაუხდა, ლუისი აპირებდა, შემოდგომით სწორედ კრივის გენიოსთან, როი ჯონსთან ებრძოლა, რომელიც ახლა ასევე მძიმე წონის ჩემპიონია.

მაგრამ კლიჩკოსთან ბრძოლის შემდეგ ატეხილმა ლაპარაკებმა ლუისს ათქმევინა, სწორედ უკრაინელს შევხვდებიო. სავარაუდო თარიღად 6 დეკემბერია დათქმული.

„რემატჩისთვის კარგად მოვემზადები“, თქვა ლუისმა, „ეს ჩვენი ბრძოლა მომეწონა. უბრალო ბრძოლა იყო, გადი იჩხუბე. მთელ წელიწადს უქმად ვიყავი და ბოლო ათ დღესლა ვივარჯიშე, თანაც ისე, რომ წარბი გავუხეთქე. ეგებ ისე ჩანდა, რომ მე დავიღალე, თუმცა ისიც დაღლილი იყო“.

ლუისის დარტყმების შედეგად წარბგადამსკდარ კლიჩკოს უამრავი ნაკერი დაადეს.

„ჩვენ გვინდა, რომ რინგთან ჩვენი, დამოუკიდებელი ექიმი იდგეს, რომლის გადაწყვეტილებასაც ორივენი დავეთანხმებით“, თქვა ლუისმა, „ვფიქრობ, კომისია დაგვეთანხმება.“

მაშ, რახან ლუისი რემატჩს დაყაბულებულა, ის უკმაყოფილო ყოფილა. ყველამ იცის, რომ რაც კი ლუისს რემატჩები გაუმართავს, იმათთვის უკეთ მომზადებულა და მეტოქისთვის ბღლვირი გაუდენია. ასე ყოფილა ევანდერ ჰოლიფილდთან და ჰასიმ რაჰმანთან კრივობისას.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



ვიტალი კლიჩკო

*ხვალ საფრანგეთში 2003 წლის ტურ დე ფრანსი იწყება. მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ველოქარავანი პარიზიდან ქვეყნის მთიანი ადგილებისკენ აიღებს გეზს და ველომრბოლებისთვის 20 საშინლად მომქანცველი ეტაპის შემდეგ 27 ივლისს პარიზშივე შეკრავს წრეს*





ოთხი ტრიუმფის შემძლე ლენს არმსტრონგი მეხუთესაც ეშურება

# არ იწუწუნო ველოსიბედზე

## შეიგრძენ ცხოვრება და საფრანგეთი

ათასი მიზეზი არსებობს საიმისოდ, რათა ტური მოსაწყენ და ერთფეროვან პედლაობად არ ჩავთვალოთ. მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ტურნირი სპორტულ ინტრიგას ხომ თავისთავად შეიცავს. მექანიკური ორბორბალას სამყაროში ველომრბოლი პირველ რიგში სწორედ ტურ დე ფრანსის მოგებით ფასდება. ტურის მოგება იშვიათთა ხვედრი წარმატებაა და თითქმის გმირობადაც ითვლება. რატომ იყო გენიალური ესპანელი ველომრბოლი მიგელ ინდურაინი? იმიტომ, რომ ზედიზედ ხუთჯერ შემოუქროლა საფრანგეთს ყველაზე სწრაფად.

1903 წელს დაარსებული ტურ დე ფრანსი ზუსტად ასი წელია, გულს უჩქროლებს ველომრბოლებს. მხოლოდ ორი მსოფლიო ომის დროს, 1915-18 და 1940-46 წლებში არ ტარდებოდა, თორემ სხვა დროს ყოველთვის მაგნიტივით იზიდავდა პლანეტის უძლიერეს ველომრბოლებს.

ტურს თავისი გამორჩეული გმირები ჰყავს, რომელთაც ხუთჯერ მოუგიათ სამკვირიანი რბოლა. ფრანგები ორი ხუთგზის ჩემპიონით — ჟაკ ანკეტილით და ბერნარ ინოთი ამაყობენ, თუმც ისიც ნიშანდობლივია, რომ ინოს ბოლო, 1985 წლის გამარჯვების შემდეგ პარიზის ტრიუმფალურ თაღთან ამაოდ ელიან თანამემამულე ჩემპიონს.

ხუთგზის ჩემპიონი ჰყავთ ბელგიას — ედი მერქსი და, რაღა თქმა უნდა, ესპანეთს — ლეგენდარული მიგელ ინდურაინი. ინდურაინი ერთადერთია, ვინც ზედიზედ ხუთი წლით დაიპყრო ბაღივით მოვლილი საფრანგეთის გზატკეცილები (1991-95 წლებში).

როცა დიდმა მიგელმა ველოსიპედი საბოლოოდ მიაყუდა კედელზე, ბევრმა მისი მიღწევა დაუმხობელ რეკორდად ჩათვალა, მაგრამ, სხვათა შორის, რკინის ესპანელის შეურყეველ მიღწევას სულ რამდენიმე წელიწადში მოერყა საფუძველი — 90-იანი წლების ბოლოში გამოჩნდა ამერიკელი ლენს არმსტრონგი.

არმსტრონგი წლევანდელი რბოლის წინ საყოველთაოდ აღიარებული უალტერნატივო ფავორიტია. 1999 წლიდან ანუ ბოლო ოთხ ტურზე მას ვერავინ უწევს სათანადო კონკურენციას. ასე რომ, ლენსი ინდურაინის რეკორდს მიადგა — ზედიზედ მეხუთედ აპირებს ჩემპიონობას. მაინცდამაინც არც ასაკი უშლის ხელს, 31 წლისა ამ სახეობაში ღრმად მოხუცად სულაც არ ჩაითვლება.

თავად არმსტრონგი ყოყლოჩინა ბიჭუკა არაა და საკმარისი თავმდაბლობა მოეძევება, რათა დანარჩენ ველოვარსკვლავებსაც გაუნაწილოს ფავორიტობა. „მე არ ვეთანხმები მათ, ვინც რბოლის ბედს გადაწყვეტილად თვლის და ერთადერთ ფავორიტად მომიხსენიებს. თავს ცუდად ვგრძნობ, ასეთ რამეებს რომ ვისმენ. როგორც მგონია, წლევანდელი რბოლა ადრინდლებზე უფრო დაძაბული იქნება და მეც მეტად გამიჭირდება, რადგან ასაკთან ერთად ნამდვილად არ მემატება ძალა."

მაგრამ არმსტრონგის უპირობო ფავორიტობისა არა სწამს 1998 წლის ტურის ჩემპიონ მარკო პანტანის, რომელსაც არმსტრონგივით დიდებული გამარჯვებები და კარიერა ელოდა, მაგრამ „პირატად" მონათლულ იტალიელს ტრავმებმა და დისკვალიფიკაციებმა ბევრი დააკლო. პანტანი ახლა თითქოს ფორმაში უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, მისი ლაპარაკიდან ერთი რამ ჩანს — ის ერთგვარად ბრძოლაში იწვევს ამერიკელს.

„მხოლოდ პანტანის შეუძლია ამერიკელის დამარცხება — ამბობს პანტანი — არმსტრონგი მთებში ყველას სჯობნის და იქ მოიპოვებს უდიდეს უპირატესობას, მაგრამ ეს არა იმდენად მისი სიძლიერის, არამედ მისი მეტოქეების სისუსტის გამო ხდება. თუ ვინმე მას სერიოზულ პაექრობას გაუმართავს, დარწმუნებული ვარ, ანერვიულდება და შეცდომებს დაუშვებს. საჭიროა მისი შევიწროება მთებში."

მაგრამ აი, რას ამბობს არმსტრონგზე მეორე ცნობილი ველომრბოლი, ესპანელი ხუან ფერნანდესი — „ის ამერიკული მუხასავით მტკიცეა. წარმოუდგენლად ძლიერია, როგორც ფიზიკურად, ასევე მენტალურად. ლენსი ძლიერი პიროვნებაა და გამარჯვებულის ბუნება აქვს."

არმსტრონგისგან განსხვავებით, სწორედ ნებისყოფა აკლია ბოლო წლების კიდევ ერთ თვალსაჩინო მრბოლს, გერმანელ იან ულრიხს. მან ტური 1997 წელს 24 წლისამ მოიგო და ისე ჩანდა, მერეც უნდა დაეპყრო ველოსამყარო, მაგრამ არმსტრონგის ჩრდილში მხოლოდ მეორეობას ახერხებდა, ბოლო წლებში კი 14-თვიანმა იძულებითმა უქმობამ დაასუსტა. ის დოპინგის ხმარებაზე ჩავარდა და ტრავმებმაც ბევრი დააკლო.

ყველა ამათ ფონზე არმსტრონგი ლამის უნაკლო სპორტსმენად წარმოდგება. ყველაფერთან ერთად მას, 31 წლისას, ტურის ოთხჯერ მოგების შემდეგაც არ განელებია გამარჯვების სურვილი — „ტურზე რბოლა და შემდეგ მისი მოგება ყველაზე მძაფრი და სასიამოვნო შეგრძნებაა. მე ვერც წარმომიდგენია, უფრო უკეთესად როგორ უნდა გავატარო ცხოვრება."

ველორბოლა სპორტის სპეციფიკური სახეობაა, ტურ დე ფრანსი კი განსაკუთრებული ტურნირი. მართალია, მსოფლიოში ველოსიპედი ბურთივით თაყვანცემული ვერაა, მაგრამ მას თავად მრბოლები აღმერთებენ. ეს ძლიერი მამაკაცების სახეობაა, სადაც საათობით პედლების ტრიალი მზის გულზე და წვიმიან-თოვლიან მთებში უსერიოზულეს გამოცდას უწყობს სპორტსმენების ტანსა და თავს. ზოგიერთი ამ სახეობას ფიზიკურ ჭადრაკს უწოდებს, რაკი ველორბოლა ფიზიკურ გამძლეობაზე მეტს მოითხოვს.

რა მოაქვს ველორბოლას მაყურებლებისთვის? სხვა თუ არაფერი, ესაა ვიზუალური ექსკურსია ლამაზი ქვეყნის ჭვავის ყანებში, ტყიან მთებში და კოპწია სოფლებში, სადაც ველოქარავანს ათასი ჯურის ხალხი, ვთქვათ, გზის პირას მაგიდასთან შემომსხდარი ბაბუები ღვინით სავსე ჭიქებით ეგებებიან.

**ირაკლი ფირცხვილი**




**ტურ დე ფრანსის განრიგი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 ივლისი | პროლოგი | პარიზი | 6.5 კმ |
| 6 ივლისი | I ეტაპი | სენტ დენი — მო | 168 კმ |
| 7 ივლისი | II ეტაპი | ლა ფერტე სიუ ჟუარი — სედანი | 204 კმ |
| 8 ივლისი | III ეტაპი | შარლევილი — სენტ დიზიე | 167 კმ |
| 9 ივლისი | IV ეტაპი | გუნდური რბოლა | 68 კმ |
| 10 ივლისი | V ეტაპი | ტრუა — ნევერი | 196 კმ |
| 11 ივლისი | VI ეტაპი | ნევერი — ლიონი | 225 კმ |
| 12 ივლისი | VII ეტაპი | ლიონი — მორზინე | 226.5 კმ |
| 13 ივლისი | VIII ეტაპი | სალანშე — ლალპინე დუეზი | 211 კმ |
| 14 ივლისი | IX ეტაპი | ბორგ დოისანი — გაპი | 184.5 კმ |
| 15 ივლისი | X ეტაპი | გაპი — მარსელი | 210 კმ |
| 16 ივლისი | დასვენების დღე | | |
| 17 ივლისი | XI ეტაპი | ნარბონი — ტულუზი | 160 კმ |
| 18 ივლისი | XII ეტაპი | ინდივიდუალური რბოლა | 48.5 კმ |
| 19 ივლისი | XIII ეტაპი | ტულუზი — პლატიუ დე ბონასკრე | 197.5 კმ |
| 20 ივლისი | XIV ეტაპი | სენტ-ჟირონი — ლოდენვილი | 191.5 კმ |
| 21 ივლისი | XV ეტაპი | ბანერ დე ბიგორე — ლუზ არდიდენი | 159.5 კმ |
| 22 ივლისი | დასვენების დღე | | |
| 23 ივლისი | XVI ეტაპი | პო — ბაიონი | 197.5 კმ |
| 24 ივლისი | XVII ეტაპი | დაქსი — ბორდო | 178 კმ |
| 25 ივლისი | XVIII ეტაპი | ბორდო — ლეკოლი | 200 კმ |
| 26 ივლისი | XIX ეტაპი | ინდივიდუალური რბოლა | 49 კმ |
| 27 ივლისი | XX ეტაპი | ვილე დავრაი — ელისეს მინდვრები | 160 კმ |




# 1000 შუმახერის ოთხი ელემენტი

*გასულ კვირას გერმანიაში, ნიურბურგის ავტოდრომზე ევროპის დიდი პრიზის გათამაშებისას ზეისტორიული საფორმულო მოვლენა მოხდა: „სამეფო რბოლების" ყველაზე შედეგიანმა პილოტმა მიხაელ შუმახერმა თავის უბრწყინვალეს კარიერაში 1000 ქულა დააგროვა. მართალია, „ნიურბურგრინგზე" წითელი ბარონი მისთვის უხეირო, მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა, მაგრამ ფანტასტიკური ზღვარის დასაძლევად ესეც საკმარისი იყო.*

## ასზე მეტქულიანები

| | | ქულა | რბოლა | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1 მიხაელ შუმახერი | გერმანია | 1 003 | 188 | 5,3 |
| 2 ალენ პროსტი | საფრანგეთი | 798,5 | 199 | 4,0 |
| 3 აირტონ სენა | ბრაზილია | 614 | 161 | 3,8 |
| 4 ნელსონ პიკე | ბრაზილია | 485,5 | 204 | 2,4 |
| 5 ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | 482 | 187 | 2,6 |
| 6 დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | 425 | 150 | 2,8 |
| 7 ნიკი ლაუდა | ავსტრია | 420,5 | 171 | 2,5 |
| 8 მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 420 | 162 | 2,6 |
| 9 გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 385 | 210 | 1,8 |
| 10 ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | 360 | 99 | 3,6 |
| 11 დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 360 | 115 | 3,1 |
| 12 კარლოს რუტმანი | არგენტინა | 310 | 136 | 2,1 |
| 13 რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | 309 | 173 | 1,8 |
| 14 გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 289 | 176 | 1,6 |
| 15 ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | 281 | 256 | 1,1 |
| 16 რიკარდო პატრეზე | იტალია | 281 | 256 | 1,1 |
| 17 ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | 277,1 | 51 | 5,4 |
| 18 ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | 274 | 72 | 3,8 |
| 19 ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | 261 | 126 | 2,1 |
| 20 ჯოდი შექტერი | სამხრეთ აფრიკა | 255 | 112 | 2,3 |
| 21 დენის ჰალმი | ახალი ზელანდია | 248 | 112 | 2,2 |
| 22 ჟან ალეზი | საფრანგეთი | 241 | 201 | 1,2 |
| 23 ჟაკ ლეფიტი | საფრანგეთი | 228 | 176 | 1,3 |
| 24 რალფ შუმახერი | გერმანია | 220 | 109 | 2,0 |
| 25 ჟაკ ვილნევი | კანადა | 216 | 125 | 1,7 |
| 26 კლეი რეგაცონი | შვეიცარია | 212 | 132 | 1,6 |
| 27 ალან ჯოუნსი | ავსტრალია | 206 | 116 | 1,8 |
| 28 რონი პეტერსონი | შვედეთი | 206 | 123 | 1,7 |
| 29 ბრიუს მაკლარენი | ახალი ზელანდია | 198,5 | 101 | 2,0 |
| 30 ედი ირვინი | დიდი ბრიტანეთი | 191 | 147 | 1,3 |
| 31 სტირლინგ მოსი | დიდი ბრიტანეთი | 186,5 | 66 | 2,8 |
| 32 მიქელე ალბორეტო | იტალია | 186,5 | 194 | 1,0 |
| 33 ჟაკ იქსი | ბელგია | 181 | 116 | 1,6 |
| 34 რენე არნუ | საფრანგეთი | 181 | 149 | 1,2 |
| 35 ჯონ სარტისი | დიდი ბრიტანეთი | 180 | 111 | 1,6 |
| 36 მარიო ანდრეტი | აშშ | 180 | 128 | 1,4 |
| 37 ჯეიმს ჰანტი | დიდი ბრიტანეთი | 179 | 92 | 1,9 |
| 38 ჯონ უოტსონი | დიდი ბრიტანეთი | 169 | 152 | 1,1 |
| 39 ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | გერმანია | 168 | 150 | 1,1 |
| 40 კეკე როსბერგი | ფინეთი | 159,5 | 114 | 1,4 |
| 41 პატრიკ დეპაიე | საფრანგეთი | 141 | 95 | 1,5 |
| 42 ალბერტო ასკარი | იტალია | 140,6 | 32 | 4,4 |
| 43 დენ გარნი | აშშ | 133 | 86 | 1,5 |
| 44 ტიერი ბუტსენი | ბელგია | 132 | 163 | 0,8 |
| 45 მაიკ ჰოტორნი | დიდი ბრიტანეთი | 127,6 | 45 | 2,8 |
| 46 ჯუზეპე ფარინა | იტალია | 127,3 | 33 | 3,9 |
| 47 ელიო დე ანჯელისი | იტალია | 122 | 108 | 1,1 |
| 48 ხუან-პაბლო მონტოია | კოლუმბია | 120 | 43 | 2,8 |
| 49 იოხენ რინდტი | ავსტრია | 109 | 60 | 1,8 |
| 50 რიჩი გინტერი | დიდი ბრიტანეთი | 107 | 52 | 2,1 |
| 51 ჟილ ვილნევი | კანადა | 107 | 67 | 1,6 |
| 52 პატრიკ ტამბე | საფრანგეთი | 103 | 114 | 0,9 |
| 53 დიდიე პირონი | საფრანგეთი | 101 | 70 | 1,4 |

ამით დიადმა გერმანელმა თავისი სამი წლის წინანდელი დანაპირების ნახევარი აასრულა. მაშინ, მესამედ გაჩემპიონების შემდეგ, მან საქვეყნოდ გამოაცხადა თავისი პროგრამა-მაქსიმუმი, პენსიაში გასვლამდე 70 რბოლის მოგებას და ათასი ქულის მოგროვებას ვეცდებიო. არც მეორე ნახევარია ცხრა მთას იქით: შუმის სარეკორდო კოლექცია უკვე 68 დიდ პრიზს ითვლის.

ფორმულა 1-ში მიხაელ შუმახერის მართლაც რომ მოღვაწეობა 1991 წლის 25 აგვისტოს ბელგიაში გაჯირითებით დაიწყო. 22 წლის ახალბედა „ჯორდანის" საჭეს უჯდა, მეორე რბოლიდან კი „ბენეტონში" გადაჯდა. იტალიელ ტანსაცმლის მაგნატ ლუჩანო ბენეტონის გუნდში მან ოთხი სეზონი ირბოლა, 69 ეტაპზე 303 ქულას მოუყარა თავი და ორჯერ (1994, 1995) ჩემპიონობაც მოიპოვა. 1996 წლიდან ლეგენდარულ „ფერარის" ღირსებას იცავს და ბოლო სამ სეზონში ტიტულები ისეთი უპირატესობით მოიგო, სათოფეზეც ვერავინ გაეკარა. მიხაელმა „სკუდერიისთვის" უკვე 49-ჯერ გაიმარჯვა და ზუსტად 700 ქულაც მოაგროვა.

| მიხაელ შუმახერის შედეგიანობა წლების მიხედვით | ქულა | რბოლა |
|---|---|---|
| 1991 | 4 | 6 |
| 1992 | 53 | 16 |
| 1993 | 52 | 16 |
| 1994 | 92 | 14 |
| 1995 | 102 | 17 |
| 1996 | 59 | 16 |
| 1997 | 78 | 17 |
| 1998 | 86 | 16 |
| 1999 | 44 | 10 |
| 2000 | 108 | 17 |
| 2001 | 123 | 17 |
| 2002 | 144 | 17 |
| 2003 | 58 | 9 |

რაკი ქულათა საარაკო მონაგარზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 13-წლიანი კარიერის 188 რბოლიდან მიხაელმა 680 ქულა იმ 68 დიდი პრიზის მოგებით მოაქუჩა, 204 — მეორე ადგილზე 34-ჯერ გასვლით, 70 — მესამე ადგილით (17), დანარჩენი (49) კი მეოთხე-მეექვსე ჩასათვლელმა ადგილებმა მოუტანა.

**გია ახალაძე**

# F1

## მეათე ეტაპი საფრანგეთის დიდი პრიზი

## მანი კური

***ნევერი, 6 ივლისი***



**ტრასის სიგრძე ------------------------------------ 4.411 კმ**
**რბოლის დისტანცია ----------------------- 70 წრე — 308.584 კმ**

***რბოლა დაიწყება თბილისის დროით 17 საათზე***

**შარშანდელი შედეგები:** 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 რაიკონენი (მაკლარენი); 3 კულჰარდი (მაკლარენი); 4 მონტოია (უილიამსი) 5 რ.შუმახერი (უილიამსი); 6 ბატონი (რენო)

**წრის რეკორდი:** 2002 — კულჰარდი (მაკლარენი) 1:15.045 (203,9 კმ/სთ)

ულტრათანამედროვე „მანი კური", რომელიც ხვალ მეცამეტედ უმასპინძლებს „სამეფო რბოლების" პილოტებს, ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო საფორმულო ტრასად ითვლება. თუმც სწორედ უსაფრთხოების თვალსაზრისით ისეა მოწყობილი, რომ გასასწრებად ხელსაყრელი ადგილი ცოტაა. ამიტომ წლეულს ტრეკის პროფილი ოდნავ შეიცვალა, კერძოდ, ბოლოსწინა მოსახვევი 160 მეტრით დაგრძელდა, რათა გასწრების შანსი გაზრდილიყო.

წინა, ევროპულ ეტაპზე უხეირო გამოსვლის მიუხედავად, როცა „მიშლენის" საბურავებზე შემდგარი „უილიამსი" და „მაკლარენი" ფერარელებზე სწრაფები იყვნენ, ხვალ უმთავრეს ფავორიტად მაინც „მანი კურის" ექსგზის გამარჯვებული მიხაელ შუმახერი ითვლება, კონკურენტებად კი ბოლო სამ რბოლაში აშკარად მოღონიერებული უილიამსელები ეყოლება საკუთარი ძმის, რალფისა და კოლუმბიელ ხუან-პაბლო მონტოიას სახით.

მიხაელს გუშინდელ ვარჯიშზე უსიამოვნება შეემთხვა — ბოქსებიდან გამოსვლისას მისი „ფერარი" მარკ ვებერის „იაგუარს" შეეჯახა და წინა ფრთა მიუმტვრია. ამ „აგრესიისთვის" სტიუარდებმა „ფერარი" 10 000 დოლარით დააჯარიმეს. წინასწარ კვალიფიკაციაში კი, ყველასთვის მოულოდნელად, ბოლოს გაჯირითებულმა მინარდელებმა იოს ფერსტაპენმა და ჯასტინ უილსონმა იყოჩაღეს. საქმე ისაა, რომ საპოულე სესია ნაწვიმარ, სველ ტრეკზე დაიწყო და თავიდან გასულ ლიდერებს ლამის გუბეებში მოუხდათ წვალება, მერე კი ასფალტი თანდათან გაშრა. მიხაელმა ფერსტაპენთან შვიდი წამი წააგო და მხოლოდ მე-12 დრო აჩვენა, მონტოია მე-15 იყო, კიმი რაიკონენი ორი პოზიციით უკან, მის შემდეგ კი რალფ შუმახერი.

## ფრანგული არქივი

| მრბოლი | ქვეყანა | მოგება | პოდიუმი | ქულა | პოული | რბოლა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალენ პროსტი | საფრანგეთი | 6 | 11 | 81 | 3 | 13 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | 6 | 7 | 66 | 3 | 11 |
| ნაიჯელ მენსელი | ბრიტანეთი | 4 | 6 | 48 | 3 | 11 |
| ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | 4 | 5 | 40 | 5 | 7 |
| ჯეკი სტიუარტი | ბრიტანეთი | 3 | 6 | 44 | 3 | 8 |
| ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | 3 | 6 | 41 | 1 | 13 |
| დენ გარნი | აშშ | 2 | 3 | 29 | - | 10 |
| ნიკი ლაუდა | ავსტრია | 2 | 3 | 26 | 2 | 12 |
| რონი პეტერსონი | შვედეთი | 2 | 3 | 26 | - | 9 |
| ჯიმ კლარკი | ბრიტანეთი | 2 | 3 | 24 | 4 | 7 |
| მარიო ანდრეტი | აშშ | 2 | 2 | 22 | 1 | 7 |
| მაიკ ჰოტორნი | ბრიტანეთი | 2 | 2 | 19 | 1 | 6 |
| ნელსონ პიკე | ბრაზილია | 1 | 5 | 37 | - | 13 |
| დეიმონ ჰილი | ბრიტანეთი | 1 | 4 | 28 | 3 | 7 |
| ჯეიმს ჰანტი | ბრიტანეთი | 1 | 4 | 24 | 1 | 7 |
| დევიდ კულჰარდი | ბრიტანეთი | 1 | 3 | 23 | - | 9 |
| რენე არნუ | საფრანგეთი | 1 | 2 | 23 | 2 | 12 |
| ჰაინც-ჰარ. ფრენცენი | გერმანია | 1 | 2 | 19 | - | 8 |
| ჟაკ იქსი | ბელგია | 1 | 2 | 17 | 1 | 9 |
| ალბერტო ასკარი | იტალია | 1 | 2 | 14 | 2 | 4 |
| პიტერ კოლინსი | ბრიტანეთი | 1 | 2 | 14 | - | 5 |
| ალან ჯოუნსი | ავსტრალია | 1 | 1 | 14 | - | 8 |
| იოხენ რინდტი | ავსტრია | 1 | 1 | 12 | 1 | 6 |
| ლუიჯი ფაჯიოლი | იტალია | 1 | 2 | 10 | - | 2 |
| ჯანკარლო ბაგეტი | იტალია | 1 | 1 | 9 | - | 1 |
| ჟან-პიერ ჟაბუი | საფრანგეთი | 1 | 1 | 9 | 1 | 4 |
| ტონი ბრუქსი | ბრიტანეთი | 1 | 1 | 8 | 1 | 4 |
| ჟაკ ვილნევი | კანადა | - | 1 | 15 | - | 7 |
| რალფ შუმახერი | გერმანია | - | 1 | 14 | 1 | 6 |
| რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | - | 3 | 13 | 1 | 10 |
| კიმი რაიკონენი | ფინეთი | - | 1 | 6 | - | 2 |
| ხუან-პაბლო მონტოია | კოლუმბია | - | - | 3 | 1 | 2 |
| იარნო ტრული | იტალია | - | - | 3 | - | 6 |
| ნიკ ჰაიდფელდი | გერმანია | - | - | 1 | - | 3 |
| ჯენსონ ბატონი | ბრიტანეთი | - | - | 1 | - | 3 |

## უიმბლდონი 2003 საპრიზო 17 074 000 $

### ჩოგანი და შიბაქი ვერ ძმობილობენ



მსოფლიოს პირველმეჩოგნე ანდრე აგასიმ აღიარა, რომ მამობა და დიდი ჩოგბურთი ერთმანეთთან ძნელად შესათავსებელი ამბებია.

შეგახსენებთ, რომ 33 წლის არმენოამერიკელსა და მის ლეგენდარულ მეუღლე შტეფი გრაფს ერთი ბიჭუკელა, ჯეიდენ ჯილი ჰყავთ და წლეულს მატებასაც ელიან.

ჰოდა, სწორედ პირმშო ვაჟზე ტეხავს ხოლმე ჩოგანს ბებერი ანდრე, როცა გამოუძინებლობის გამო ამა თუ იმ მატჩში ფლავდება.

„ჰო, ეგ მართლაც ეგრეა — ამბობს იგი — როცა მამა ხდები, დასასვენებლად და გამოსაძინებლად სულ უფრო ცოტა დრო გრჩება. ჩოგანს გადადებ და ხელში შიბაქი უნდა დაიკავო."

„კარგი ამ საქმეში ის არის, რომ მარცხს უფრო ადვილად იტან, მაგრამ — მეორე მხრივ — მთელი უბედურებაც სწორედ ეგაა. ჰო, მართალია, კვლავ მოსაგებად ხარ დაგეშილი, მაგრამ საამისოდ უკვე ისე ჯიგრიანად ველარ ტრიალებს — ოჯახი და ბავშვი შენს ცხოვრებისეულ პრიორიტეტებს თავდაყირა აყენებს."

უნდა ითქვას, რომ ანდრეს ამერიკა არ აღმოუჩენია. მაგალითად თუნდაც მისი დოსტი და მეტოქე, პიტ სამპრასიც იკმარებდა, ვისაც — მას შემდეგ, რაც მამა შეიქნა, კორტისკენ გახედვაც აღარ სურს.

ამასვე ადასტურებს ჩოგბურთის ისტორიაც. ღია ტურნირების ეპოქაში, ანუ 1968 წლიდან დღემდე უიმბლდონზე მხოლოდ ორმა მამამ, ჯიმი კონორსმა და პატ კეშმა იმარჯვეს. რაგინდარა სლემტიტული კი — და ისიც თითოთითოჯერ — მამობისას ოდენ ბორის ბეკერმა, ანდრეს გომესმა, პეტრ კორდამ და იმავე აგასიმ (წლეულს ავსტრალიაში) ირგუნეს.

რაც შეეხებათ ქალებს, ერთადერთი მათგანი, რომელმაც ბავშვის გაჩენის შემდეგ ოთხი უბობოლესი ტურნირიდან ერთზე მაინც იჩემპიონა, ივონ გულაგონგი იყო. 1980-ში მან სატიტულოდ სწორედ უიმბლდონური კოინდარი გაჯეგა.

## ამბავ-ხაბარი

### დაგვიპატარავეთ! ითხოვენ დიადები



ოდინდელ განთქმულ ჩემპიონთა და ჟურნალისტთა დიდმა ჯგუფმა, რომელშიც ჯონ მაკინროი და მარტინა ნავრატილოვაც შედიან, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის მახვშებს საგანგებო წერილი აახლეა. წერილში ისინი ჩოგნების შემცირებას ითხოვენ.

„თანამედროვე ზემსუბუქი, ბოლოფართე ჩოგნები ნაკლებად დახვეწილ, მაგრამ უფრო ჯანიან მოთამაშეებს უპირატესობას ანიჭებს უფრო ნატიფი, მაგრამ ფიზიკურად შედარებით სუსტი მოთამაშეების წინაშე.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ ჩოგნების ზომა შემცირდეს, რათა უპრაგონოდ მოგლაჯუნე მობურთალებმა ვეღარ შეძლონ ნატიფი მობურთალების დაჯაბვნა."

მოკლედ — დაგვიპატარავეთო.

### ჩვენ გვაბრალებენ

სერენა უილიამსი და ჟუსტინ ენენ-არდენი მათ შორის ურთიერთობათა გართულებას უარყოფენ და ყველაფერს ჟურნალისტებს გვაბრალებენ — აქაოდა, ჩვენ შორის შავი კატის გადარბენა თქვენი მონაჩმახიაო.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ როლანგაროსობის ნახევარფინალური შეხლის მესამე სეტში, როცა სერენა 4:2 იგებდა, მის მოწოდებაზე ჟუსტინმა ხელი შემართა — არ ჩააწოდოო.

სერენამ ეს გვიან შეამჩნია, თუმცა თხოვნა გაითვალისწინა და უკვე შემართული ჩოგანი ბურთს სანახევროდღა შემოსცხო. მსაჯმა ბელგიელის ჟესტი ვერ შეამჩნია, სერენას კი ქულა გაუუქმა. ჟუსტინს ხმა არ ამოუღიაა.

ამას საბოლოოდ უმცროსი უილიამსის მიერ მოწოდების და ჯამში — ტიტულის დაკარგვაც მოჰყვა.

ნამატჩევს სერენა მისადმი ძალზე არაობიქტურად განწყობილ პარიზულ პუბლიკასა და ჟუსტინს დანძლავდა — მატყუარა და სიაფანდი ყოფილაო.

სერენას სიმართლე, სხვათა შორის, ბელგიელის მწვრთნელმა, კარლოს როდრიგესმაც დაადასტურა. მან თქვა, რომ ჟუსტინი სერენას გარდა ყველა მოთამაშესთან აღიარებდა იმას, რომ მოწოდება მან მისი თხოვნით გაამრუდა, სერენასთან კი — ნურას უკაცრავადო.

თუმცა, ყოველივე ამის მიუხედავად, გოგონები ამბობენ, რომ მათ შორის ყველაფერი რიგზეა.

ჩვენ 21-21 წლისანი ვართ და მომავალი ხუთი წლის განმავლობაში გვსურს, ერთმანეთთან პატიოსნად ვიპაექროთო.

სერენას აზრით, სწორედ პრესა იყო დამნაშავე იმაში, რომ თავის დროზე მასსა და მარტინა ჰინგისს შორისაც ძალზე დაძაბული ურთიერთობა იყო.

ასეთები ხართ — ბუზისგან სპილოს ქმნითო, ამბობს ის.



სერენა და ჟუსტინი: სად ხედავთ ჩვენს შუა შავ კატას?!



# დავივიწყოთ ფული!

## პოლ კარიამ და ტეემუ სელიანემ სახრავს სახელი ამჯობინეს

*თავისუფალ აგენტთა ბაზარზე პირველი ორი დღის დუმილს უდიდესი სენსაცია მოჰყვა. ხუთშაბათს კოლორადომ პოლ კარია და ტეემუ სელიანე შეიძინა. ასე აღდგა ორნახევარი წლის შემდეგ მრისხანე დუეტი, ოღონდ ამჯერად იგი არა ანაჰაიმის, არამედ კოლორადოს გულშემატკივრებს გაახარებს.*

**კოლორადოს** მენეჯერ პიერ ლაკრუას ეს გასაგიჟებელი გარიგება მხოლოდ 6,8 მილიონი დოლარი დაუჯდა. განსაკუთრებით იაფად ანაჰაიმის აწ უკვე ყოფილი კაპიტანი კარია იგდო ხელთ. წინა სეზონში 10 მილიონი ხელფასის მქონე ფორვარდი 1,2 მილიონს დაჯაბულდა, ოღონდ ასეთ ძლიერ გუნდში მოხვედრილიყო. „როცა მე და ტეემუ თავისუფალი აგენტები გავხდით, ორივემ ვთქვით, მოდი, ფული დავივიწყოთ და მოვიფიქროთ, სად გვსურს თამაში. ამ დროს კოლორადოს ვარიანტი გაჩნდა და წამითაც არ დავფიქრებულვართ" — ასე ახსნა კარიამ თავისი მოულოდნელი გადაწყვეტილება. რაც შეეხება სელიანეს, რომელიც საგანგებო პრესკონფერენციას მშობლიური ფინეთიდან ტელეარხის მეშვეობით შეუერთდა, ის მომდევნო სეზონში 5,6 მილიონს მიიღებს. „მე დღეს აღფრთოვანებული ვარ" — სელიანეს ეს რომ არ ეთქვა, ისედაც ეტყობოდა, ძალიან გახარებული რომ იყო. კარიაც არა ნაკლებ გახარებულია, თქვა, ფორსბერგთან და საკიკთან ერთად თამაშის შანსი ცხოვრებაში კიდევ ერთხელ მეძლევაო. კარიასა და სელიანეს ასეთი ნაბიჯი გასაგებია. აგერ უკვე ათი წელია, ორივე ლიგის ელიტაში შედის, სტენლის თასი კი მათთვის დღემდე მიუწვდომელია. მართალია, წლეულს კარიას ანაჰაიმი ფინალში გავიდა, მაგრამ ძნელად სარწმუნოა, „მძლავრმა იხვებმა" ეს შედეგი გააუმჯობესონ. კარია სანატრელ მიზანს ასე რომ მიუახლოვდა, ცხადია, მადა კიდევ უფრო გაეხსნა, ამიტომ ფული აინუნშიც აღარ ჩააგდო. ისე, აქ ერთი ნიუანსიცაა: ასეთი დაბალი ხელფასი კარიას 2004 წელს კვლავ თავისუფალ აგენტად გახდის და მაშინ ფორვარდი უეჭველად აინაზღაურებს დანაკლისს.



ტეემუ სელიანე კოლორადოს სიყვარულში ტელევიზიით გამოუტყდა



პოლ კარიამ „კოლორადო" ჩაიცვა

3 ივლისს სხვა საინტერესო ამბებიც მოხდა. კოლორადოს მთავარმა მტერმა დეტროიტმაც არ დააყოვნა და ბაზარზე გასულ მცველთაგან უძლიერესი აიყვანა. თანაც, მეტოქისგან განსხვავებით, ექსდალასელ დერიან ჰეჩერს 5-წლიანი და 30-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა. წლეულს „ნორის ტროფიზე" წარდგენილი ჰეჩერი წარმოშობით დეტროიტელია, მაგრამ მთელი კარიერა დალასში გაატარა. „ბავშვობიდან გორდი ჰოუს და დეტროიტის ფანი ვიყავი. ასე რომ, თავად მიხვდებით, დღეს რა აღფრთოვანებული ვარ" — განაცხადა პრესკონფერენციაზე ჰეჩერმა. თავის მხრივ დეტროიტის უფროსობაც ფრიად მოხარულია. „ასეთი ტიპის მცველი კონსტანტინოვის შემდეგ არ გვყოლია" — თქვა დეტროიტის მწვრთნელმა ბარი სმიტმა. გასულ სეზონში სწორედ დაცვის ხაზის პრობლემებმა განაპირობა სათასო ბრძოლაში გუნდის ფიასკო. იმავე დღეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტრეიდი განხორციელდა — კრის დრური კალგარიდან ბუფალოში გადავიდა. ეს „ხმლების" ახალი ბოსის, ტომას გოლიზანოს პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ.

ვაჭრობის პირველმა ორმა დღემ ექსპერტებს აფიქრებინა, ძვირადღირებულ მოთამაშეებს გაუჭირდებათ კონტრაქტების გაფორმებაო, მაგრამ შეცდნენ. კარიამ და სელიანემ კარგი მაგალითი მისცეს სხვებს. თავისუფალი აგენტების ბაზარზე კი ჯერაც არიან სახელიანი მოთამაშეები: სერგეი ფიოდოროვი, ბრაიან ლიჩი, ერიკ დეჟარდენი, მარკ მესიე და ბევრი სხვა.

**სამველ ლარიბიანი**

# ახალი სამოსი

ეს მოქალაქენი, პრაღის „ოტელ ჰილტონის“ ჰოლიდან რომ გვიღიმიან, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მუშაკები კატია და ბერნარი გახლავან. ოლიმპიურ კომიტეტს დაუმტკიცებია ახალი ფორმა ოლიმპიური ოჯახისთვის, რომელიც მუშაკებს სამ წელიწადს ეცმევათ და კატია და ბერნარიც ამ ფორმას გვიჩვენებენ.



REUTERS პრაღიდან



REUTERS ჩანდიგარიდან

# თავდაცვა

ინდოეთის ჩრდილოეთ ქალაქ ჩანდიგარში ნორჩები კარატეში ვარჯიშობენ. ეს დიდი ღონისძიება ინდოეთის ანტიტერორისტულ ფრონტს მოუწყვია, რომელიც, თურმე, მთელს ქვეყანაში ავარჯიშებს ბავშვებს, რათა ამათ ძნელბედობისას თავი დაიცვან.

# ზამთრის ფესტივალი

ამ შუა ზაფხულში თოვლიც ბევრგან დევს, მით უმეტეს, რომ სამხრეთში ზამთარია. ახალ ზელანდიაში სწორედ ამ დროს იმართება ხოლმე ქვინზთაუნის ზამთრის ფესტივალი, რომელიც ნაირგვარ სათოვლო შეჯიბრებებს მოიცავს ქვეყნის სამხრეთ კუნძულზე. აი, სურათიც, თუ როგორ მოაჯირითებს ბენ რაფერტი თავის ველოსიპედს თოვლზე.



REUTERS ქვინზთაუნიდან

# აი, ადამიანი!

ავსტრალიელ მოკრიკეტეთა კაპიტანი სტივ ვო და მისი მეუღლე ლინეტი კიდევ ერთხელ ჩასულან კალკუტას, იქიდან კი ბარაკპურს, სადაც ვო ყოველთვის სასურველი სტუმარია. ბარაკპურში არის კეთროვან ბავშვთა კლინიკა, რომლის მეოხი და გულშემატკივარიც სწორედ ვო გახლავთ. ამიტომაც, არც გასაკვირია, რომ მას იქ ყოველთვის სიხარულით და იმედით ხვდებიან.



REUTERS ბარაკპურიდან



REUTERS ბალტიმორიდან

# შეჯახება ბალტიმორში

ბალტიმორში ბეისბოლია გახურებული. მართალია, ბეისბოლს სიტყვა „გახურება“ ნაკლებად უხდება, ეს ფოტო გვარწმუნებს, რომ ძიძგილაობა იქაც მოხდება ხოლმე. „ტორონტო ბლუჯეის“ ორლანდო ჰადსონი „ბალტიმორ ორიოლზის“ ქეჩერს ბრუკ ფორდისს შესკდომია და ცდილობს, თათმანიდან ბურთი გამოსტაცოს. ეს ჭიდილი, ცხადია, ბაზის დასაპყრობად მოხდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ეკა დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუთურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.…bieli.com.ge